# პიონერი

1

1966

140
1966/2



140/2
57

ელექტრონული ბიბლიოთეკა




## ჩვენო საყვარელო დედებო და მამებო, უფროსო დებო და ძმებო!

ჩვენ, ქართველი პიონერები, თქვენთან ერთად განვიცდით უდიდეს სიხარულსა და სიამაყეს საბჭოთა საქართველოს ლენინის მეორე ორდენით დაჯილდოების გამო. თქვენი თავდადებული, ალალი შრომა—სახალხო მეურნეობაში, მეცნიერებასა და კულტურაში მიღწეული წარმატებები ღირსეულად დაფასდა.

საქართველოს ალამზე ახლა ლენინის ორი ორდენი იბრწყინებს.

მხურვალედ გილოცავთ მშობლიური მთავრობის უმაღლეს ჯილდოს.

ამ დიდი დღესასწაულის დღეს საზეიმოდ გაძლევთ პიონერულ სიტყვას, რომ ვიქნებით თქვენი ღირსეული მემკვიდრენი, კვლავაც ბეჯითად ვისწავლით და ვიშრომებთ, რათა სულ მაღლა ვატაროთ ჩვენი სამშობლოს სახელოვანი დროშა.

იხაროს და იბედნიეროს საქართველოს შრომისმოყვარე ხალხმა!

იზარდოს და იმრავლოს ჩვენი მიწა-წყლის ხვავმა და ბარაქამ!



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩვენო ძვირფასო მკითხველო!**

ჟურნალ „პიონერის" რედაქცია გულითადად გილოცავს ახალ წელს და გისურვებს წარმატებებს სწავლაში, შრომაში, პიონერულ საქმიანობაში, გისურვებს ჯანმრთელობას შენ და შენს მშობლებს, შენს მასწავლებლებს, ყველა შენს ტოლ-ამხანაგს.

დაე, ამ ახალ — 1966 წელს კიდევ უფრო გაიფურჩქნოს შენი ნიჭი და უნარი, დაუღალავად გევლოს სულ წინ და მხოლოდ წინ — ცოდნის საოცნებო მწვერვალებისაკენ!

მრავალ ახალ წელს!

10036.

# სადაც სწავლობდა ლენინი

მე ვნახე ის ქალაქი, სადაც ულიანოვები ცხოვრობდნენ, ვნახე ის დაბალი, ერთსართულიანი ხის ფლიგელი, ყოფილ სტრელეცკის ქუჩაზე (ახლა ულიანოვების სახელობის ქუჩა), სადაც დაიბადა და პირველად ფეხი აიდგა ვალოდიამ; ვნახე ის სკოლა, სადაც იგი მეცადინეობდა. და აი, სწორედ იმ სკოლაზე მინდა მოგითხროთ...

სისხამ დილით, სხვა ბავშვებთან ერთად, მხიარული ვალოდია ჩანთით ხელში ხტუნვა-ხტუნვით მიეშურებოდა სკოლისაკენ, რომელსაც მაშინ ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიას ეძახდნენ (ახლა მას ლენინის სახელობის პირველი საშუალო სკოლა ჰქვია).

ხუთი წლის იყო ვალოდია, როცა კითხვა ასწავლა დედამ — მარია ალექსანდრეს ასულმა, თავისი დროისათვის განათლებულმა ადამიანმა, მოსიყვარულე დედამ და შესანიშნავმა აღმზრდელმა, ხოლო ცხრანახევარი წლისა მიაბარეს გიმნაზიაში. მაგრამ პირველკლასელებს არ ჰქონდათ ბედნიერება, რომ თავიდანვე სასწავლებლის მთავარ შენობაში მოხვედრილიყვნენ, რადგან არ ყოფნიდათ საკლასო ოთახები. ორ წელიწადს ისინი კარამზინის ბაღის პირდაპირ, ქალაქის მმართველობის შენობის ორ ოთახში ატარებდნენ (ახლა მასში მუსიკალური სასწავლებელია მოთავსებული). არც ვალოდია ულიანოვი იყო გამონაკლისი, თუმცა მამამისი მაშინ მთელი სიმბირსკის (დღევანდელი ულიანოვსკის) მაზრის სახალხო სასწავლებლების დირექტორად ითვლებოდა. შესასვლელი გამოცდების ბრწყინვალედ ჩაბარების შემდეგ, ვალოდიამაც აქ გაატარა ორი წელი.

...ტურისტებით სავსე ავტობუსების კოლონა ქალაქის პირველ სკოლასთან შეჩერდა. სხვათა შორის, როცა მანქანებში ვსხდებოდით, ყურადღება არ მიმიქცევია, ახლა კი თვალში მეცა წარწერა ავტობუსებზე: „მშობლიურ ქალაქს — ულიანოვსკის ოლქის პიონერებისაგან".

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ავტობუსებისათვის საჭირო ლითონი ოლქის ბიჭუნებმა და გოგონებმა თავიანთი ხელით შეაგროვეს, ხოლო ულიანოვსკელმა ავტომშენებლებმა კი ააგეს ეს შესანიშნავი მანქანები. მომაგონდა, რომ თბილისელი პიონერების მიერ შეგროვილი ლითონის ჯართით სწორედ ასე შექმნეს ქართველმა ელმავალმშენებლებმა რვაღერძიანი ლოკომოტივი, რომელსაც „პიონერი" დაარქვეს.

სკოლაში გაკვეთილები მიმდინარეობდა. დერეფნებში ისეთი სიწყნარე იდგა, ბუზის გაფრენას გაიგონებდით. ფეხაკრეფით და მოწიწებით, ჩუმად და უხმაუროდ გავიარეთ ვესტიბული (ფეხსაცმელზე ტილოს ფაჩუჩები ჩაგვაცვეს). მარჯვნივ გავუხვიეთ, მეორე სართულზე ავედით და ნათელ ოთახში შევედით, ერთ-






ხელ კიდევ დავრწმუნდით, თუ რა დიდი და შესანიშნავი ტრადიციები ჰქონდა ამ სკოლას.

ერთ მხარეს კედელზე ჩამწკრივებულია დიდი პორტრეტები იმ სახელოვანი ულიანოვსკელი თანამემამულეებისა, რომლებმაც ეს სკოლა დაამთავრეს. თქვენ აქ ნახავთ ულიანოვების გვარის ღირსეული წარმომადგენლების, ლენინის უფროსი და უმცროსი ძმების ალექსანდრესი და დიმიტრის, მოგზაურ მოტესტ ბოგდანოვის, განმანათლებელ იაკობ იაკოვლევის, მომღერალ დიმიტრი სადოვნიკოვის, პოეტ აპოლონ კორნიფსკის, გამოჩენილი პროფესორის ვლადიმერ ფილატოვისა და სხვების სურათებს.

აი, ვისი მაგალითითა და მიბაძვით იზრდებიან აქ ბავშვები.

საქტო დარბაზის დერეფანში დაფებზე ჩამწკრივებულია ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა სიები. რა კარგია, როცა იცი, რომ დაამთავრე, წახვედი სკოლიდან, მაგრამ შენი სახელი იქ კვლავ დარჩა, დარჩა როგორც ნიმუში, რომელზედაც სხვები უნდა აღიზარდონ. სკოლებში მედლების დაწესების შემდეგ — 1945 წლიდან — აქ ოქროს მედალოსანთა დაფაზე 48 მოსწავლის გვარია შეტანილი, ვერცხლისაზე კი — 81.

გიმნაზიის სხვადასხვა კლასში ვალოდიას არა ერთხელ დაუმსახურებია ქების სიგელები. მე ისინი ვნახე ყოფილ მოსკოვის ქუჩაზე, ულიანოვების სახლის ერთ პაწაწინა ოთახში, რომელსაც ვლადიმერ ილიასძის ოთახი ჰქვია. ამ ოთახში თითქმის ყველაფერი ისეა, როგორც მაშინ, როცა აქ ვალოდია ცხოვრობდა. ოთახი სადად და უბრალოდაა მორთული. აქ დგას სამუშაო მაგიდა, რომელზედაც მოწაფის ნიშნების ფურცლები, ჯილდოდ მიღებული წიგნი „ევროპის ხალხთა ცხოვრება“, მესამე და მეოთხე კლასში მიღებული ქების სიგელები აწყვია. 1884 წლის 11 ივნისით დათარიღებულ სიგელში წერია: „კლასიკური გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ, რომელიც პატივს სცემს V კლასის აღსაზრდელის ვლადიმერ ულიანოვის წარჩინებულ სწავლას, გულმოდგინეობასა და სანაქებო ყოფაქცევას — დააჯილდოვა იგი ქების სიგელით“.

...მნახველის თვალი ყველაფერს ხარბად ეტანება, გონება აღნუსხავს და ცდილობს არაფერი გამორჩეს, თვით წვრილმანიც კი. აი, ოთახი სადაც მეშვიდეკლასელმა ვალოდიამ 1885-86 სასწავლო წელი გაატარა.

მღელვარება სულ უფრო მატულობს, ფიქრით შორეულ წარსულში ხარ და ხედავ: გიმნაზიელის ფორმაში გამოწყობილმა, საშუალო ტანის, ჭკვიანთვალებიანმა, სიმპათიური სახის ჭაბუკმა როგორ გაიარა საქტო დარბაზის დერეფანი, როგორ შევიდა საკლასო ოთახში, მიესალმა თანაკლასელებს, — გამარჯობათ, ბიჭებო! — ერთმა ხმამაღლა უპასუხა:— ვალოდიას გაუმარჯოს! — მეორემ თვალი ჩაუკრა და ღიმილით თავი დაუქნია, მესამე — ხელის აწევით მიესალმა... შემდეგ ვალოდია თავის მერხისაკენ გაემართა. პირველი რიგის კიდურა მერხზე, ფანჯარასთან დაიკავა თავისი მუდმივი ადგილი, წიგნები შეინახა და, ჩვეულებისამებრ, ერთ მხარეს სამელნე დაიდგა, მეორე მხარეს კი რვეული დაიდო.

ჭაბუკს ძლიერ უყვარდა ციგურაობა. რუსეთის ხანგრძლივი ზამთრის პირობებში ეს მართლაც საუცხოო გასართობი და თავშესაქცევია არა მარტო ბავშვებისათვის, არამედ დიდებისთვისაც კი. და აი. როცა გიმნაზიის დამამთავრებელ კლასში გადავიდა, როცა მთელი ძალისა და ენერგიის დაძაბვა იყო საჭირო მეცადინეობისათვის, ვალოდიამ დროებით დაანება თურმე თავი სპორტს, რომელიც დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. დაანება იმიტომ, რომ დრო არ ჰყოფნიდა გაკვეთილების დასამზადებლად. მისთვის ყველაზე მთავარი იყო სწავლა, სხვა დანარჩენი კი — მეორეხარისხოვანი!

სწორედ ასეთი ზომისა და ასეთი ფერისა იყო მაშინ ეს მერხები, ეს დაფა, ეს კათედრა, სარკესავით რომ პრიალებენ. იქნებ იკითხოთ, ვინ აღადგინა ყველაფერი ასე ზუსტად, ვის ახსოვდა — სად იჯდა ვალოდია ულიანოვი? ვის და — მის თანაკლასელს მიხეილ კუზნეცოვს, რომელიც მასთან ერთად აქ, ამ საკლასო ოთახში იჯდა, რომელმაც შემდგომში პროფესიად მასწავლებლობა აირჩია. გარდა ამისა, საარქივო მასალების დახმარებითაც ბევრი რამ დაადგინეს.

ყვებიან ასეთ ეპიზოდს: მკაცრი და თავნება კაცი იყო თურმე ლათინური ენის მასწავლებელი ფედოროვსკი, რაღაც თავისებური და უცნაური წესები ჰქონია გაკვეთილზე. ტექსტს რომ მისცემდა ბავშვებს გადასათარგმნად, მოფიქრების საშუალებას არ აძლევდა, — მოსწავლე მაშინვე სწრაფად თუ არ თარგმნიდა, ფეხზე უნდა მდგარიყო მანამ, სანამ რომელიმე მისი ამხანაგი არ შეასრულებდა ამ დავალებას. ყოფილა შემთხვევა, როცა თითქმის მთელი კლასი ფეხზე მდგარა. ვალოდია სწევდა ხელს, ითხოვდა — მე გადავთარგმნიო, მაგრამ მასწავლებელი ყურსაც არ ათხოვებდა, აინუნშიც არ აგდებდა მის თხოვნას, ვიდრე სულ



ულიანოვსკი. ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმი

ბოლო მერხზე კენტად მხოლოდ ვალოდია შემორჩებოდა.

იქნებ ეს სულის სიღრმეში გარკვეულ სიამოვნებასაც ანიჭებდა მასწავლებელს, ანეგებ უნდოდა ეჩვენებინა სხვებისთვის: ნახეთ, როგორი მოსწავლეა თქვენს შორის, უნდა ამაყობდეთ მისით. მაგრამ ისინი განა ფედოროვსკიზე ნაკლებად იცნობდნენ და უყვარდათ ჭკვიანი და ნიჭიერი, ბეჯითი და მუყაითი, ერთგული და დაუზარელი მეგობარი ვალოდია ულიანოვი?! და, როცა ჯერი მასზე მიდგებოდა, მაშინ მთელი კლასი შვებით ამოისუნთქავდა, — ახლა კი გვეშველება, დაჯდომა გვეღირსება. ვალოდიაც სხაპასხუპით თარგმნიდა მასალას, რაგინდ ძნელიც არ უნდა ყოფილიყო. ტყუილად ხომ არ იყო მითითებული მის სიმწიფის ატესტატში: განსაკუთრებით უყვარს უძველესი ენებიო.

არ ახსოვთ ისეთი შემთხვევა, რომ ვალოდიას გასძნელებოდა თარგმნა. ეს კარგად იცოდა ფედოროვსკიმ, ამიტომ იყო, რომ მას ჩაროზივით ბოლოსთვის შემოინახავდა ხოლმე.

მას შემდეგ, რაც შეიქმნა ყოფილი ვაჟთა გიმნაზიის ეგრეთ წოდებული მემორიალური ზონა, რაც დადგინდა, სად და რომელ ადგილზე იჯდა ვალოდია, ერთხანს ტრადიციად იქცა — ამ ოთახში ჩაეტარებინათ სკოლის საუკეთესო ჯგუფის მეცადინეობა. პირველი რიგის კიდურა მერხზე, ფანჯარასთან, სადაც ჰკიდია წარწერა „აქ იჯდა ვალოდია ულიანოვი", — აჯენდნენ მხოლოდ იმას, ვინც ჯგუფში ყველაზე წარჩინებულ მოსწავლედ ითვლებოდა.

მერე ეს წესი შეიცვალა, რადგან თვით საკლასო ოთახი მემორიალური ზონის შემადგენელ ნაწილად, სამუზეუმო ადგილად იქცა.

მაგრამ არის ერთი მომენტი, როცა ამ სკოლის მოსწავლეები სასწავლო წლების მანძილზე მხოლოდ ერთხელ თავიანთ გაკვეთილს ყოფილი მე-7 კლასის ოთახში ატარებენ. ეს პატივი მხოლოდ პირველკლასელებს აქვთ — მათი პირველი გაკვეთილი სწორედ ამ საკლასო ოთახში ტარდება.

შესანიშნავი ტრადიციაა!

ახლა კი, რამდენიმე სიტყვა სააქტო დარბაზის შესახებ. ეს დარბაზი გრძელი ლენტით არის გადაღობილი, იქ მხოლოდ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებების დროს იკრიბებიან. მაგალითად, ამ დარბაზში დიდი საზეიმო სხდომა იმართება ყოველი წლის აპრილში — ლენინის დაბადების დღეს, წინათ აქ ხდებოდა სიმწიფის ატესტატზე საჯაროდ გამოცდების ჩაბარება. სწორედ აქ ბრწყინვალედ დაიცვა დიპლომი ვალოდია ულიანოვმა 1887 წლის გაზაფხულზე. მერე რა დროსა და რა პირობებში! მაშინ ულიანოვების ოჯახი თავზარდაცემული იყო უფროსი ვაჟის—ალექსანდრეს (საშას) ტრაგიკული ბედით. საშა ძალიან უყვარდა ვალოდიას, სჯეროდა მისი. ალექსანდრე პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა. და თან რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობდა. იმპერატორ ალექსანდრე მესამის მკვლელობის ცდისათვის იგი დააპატიმრეს, შლისერბურგის ციხეში ჩასვეს, შემდეგ კი ჩამოახრჩვეს. მწუხარებითა და გლოვით აღსავსე ამ მძიმე დღეებში, როცა ქალაქის „საზოგადოებამაც" ზურგი შეაქცია ულიანოვების ოჯახს, ვალოდიამ შეინარჩუნა სულის სიმშვიდე, ხელში აიყვანა საკუთარი თავი, სანაქებოდ მოემზადა გამოცდებისათვის, დიდი მწუხარების მიუხედავად. გადალახა ყველა სიძნელე, თამამად გავიდა კომისიის წინაშე და ოქროს მედალი დაიმსახურა!

მეტად საყურადღებოა ის დახა-




ოქროს მედალი, რომელიც მიიღო ვ. ულიანოვმა გიმნაზიის დამთავრებისას



ულიანოვსკი. ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმი

სიათება, რომელიც ვალოდიას ყაზანის უნივერსიტეტში შესასვლელად მისცა გიმნაზიის დირექტორმა ო. კერენსკიმ. მასში ლაკონურად, მაგრამ ამომწურავად არის აღნიშნული ვ. ულიანოვის ყველა საუკეთესო თვისება. „ფრიად ნიჭიერი, — ნათქვამია დახასიათებაში, — მუდამ მუყაითი და წესიერი ულიანოვი ყველა კლასში იყო პირველი მოწაფე და კურსის დამთავრების შემდეგ დაჯილდოებულია ოქროს მედლით, როგორც ყველაზე უფრო ღირსეული სწავლის, საერთო განვითარებისა და ყოფაქცევის მხრივ“.

აქ, გიმნაზიაში ყოფნის დროს, მან გამოიმუშავა თვითდისციპლინა და ორგანიზებულობა. სწორედ ამიტომ, გაკვეთილების მომზადების შემდეგ დასვენებისა და სხვადასხვა სახის ლიტერატურის კითხვისთვისაც რჩებოდა დრო. იგი ღრმად ეცნობოდა მისი საყვარელი ავტორების ნაწარმოებებსა და შრომებს, რუსული კლასიკური ლიტერატურისა და უცხოელი მწერლების საუკეთესო წარმომადგენელთა შესანიშნავ ქმნილებებს. მისი საყვარელი ავტორები იყვნენ ნ. ნეკრასოვი, მ. სალტიკოვ-შჩედრინი, ი. ტურგენევი. დიდი ინტერესით კითხულობდა ბ. ბელინსკის, ა. გერცენს, ნ. დობროლიუბოვს, ნ. ჩერნიშევსკისა და დ. პისარევს, ხოლო ნაწარმოებთა გმირებიდან იგი თაყვანს სცემდა ძლიერი ხასიათისა და მაღალი ნებისყოფის ადამიანებს, როგორიც იყვნენ სპარტაკი, გარიბალდი, ტარას ბულბა და სხვ. ზემოთ ჩამოთვლილი მწერლების შემოქმედებამ დიდი როლი ითამაშა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, გააღვივა მასში მეფის მთავრობისადმი სიძულვილი, ხოლო ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირმა, ხალხთან ახლოს ყოფნამ, საყვარელი ძმის მსოფლმხედველობის გაცნობამ და მისმა ტრაგიკულმა სიკვდილმა საშუალება მისცა უკვე ადრევე, ბავშვობასა და სიჭაბუკეში, მთელი სიმწვავით ეგრძნო სოციალური უკუღმართობა და უსამართლობა; ყოველივე ამან მოამზადა ნიადაგი იმისათვის, რომ მასში ადრევე გაღვიძებოდა ჭეშმარიტად დიდ რევოლუციონერს.

მივდიოდი ულიანოვსკიდან და ვფიქრობდი იმაზე, თუ რა ძვირფასი და ახლობელია ჩვენი ქვეყნის თითოეული ადამიანისათვის, რა ენაზეც უნდა ლაპარაკობდეს იგი, დიდი ბელადის სახელოვანი ტრადიციები-იგი ხომ არა ერთი მილიონი ახალგაზრდისათვის იქცა ცხოვრების გზის მანათობელ ლამპარად, სამუდამოდ გაუკაშკაშა მათ უღრუბლო მომავალი. ვფიქრობდი იმაზე, თუ მსოფლიოს კიდევ რამდენი მილიონი ჭაბუკი და ქალიშვილი ივლის ილიჩის მიერ ნაჩვენები გზით.

**სერგო ხარაზიშვილი.**





ПОХВАЛЬНЫЙ ЛИСТЪ

Педагогическій Совѣтъ Классической Гимназіи, уважая отличные успѣхи, прилежаніе и похвальное поведеніе воспитанника V-го класса Владимiра Ульянова наградилъ его симъ похвальнымъ листомъ. Симбирскъ, Іюня 11-го дня 1884 года.

Директоръ Симбирской Гимназіи Ф. Керенскій

Инспекторъ

Преподаватели:

ქების სიგელი, რომლითაც დააჯილდოვეს ვალოდია ულიანოვი გიმნაზიის მე-5 კლასის დამთავრებისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

*მურმან ლებანიძე*

თოვს ხვავრიელად, ზღაპრულად—
ზამთრის ფაფუკი ფრთებით
გადაბამბულა მინდვრები,
გადაბამბულა მთები.

მოსდევს თოვლსა და ახალ წელს
არდადეგები ზამთრის;
თოვს, ახლა სახლში რა გაძლებს—
მესამე დღეა, ბარდნის.

სერზე სიცილი წკრიალებს,
არის ბრძოლა და ქროლა,
მთელ დღეს—ციგებით სრიალი,
მთელ დღეს—გუნდების სროლა.

საყელოწამოწეული
თუ სადმე გაჩნდა მგზავრი
და კანჭა გოგო აღმოჩნდა,
უნდა ვიყაროთ ჯავრი.

„ბიჭო, მიყვარხარ ძმასავით,
ვიცი, მესროლო უნდა,
მაინცდამაინც ქვასავით
ნუ ჩაატყვიებ გუნდას“...

„ციც! კარგად ვიცით ჩვენ თქვენი
მელაკუდობის ნიჭი!
აგერ, ერთს ხუთმა წაასწრეთ—
თოვლში მარხია ბიჭი!“

სერზე სიცილი წკრიალებს,
არის ბრძოლა და ქროლა;
მთელ დღეს—ციგებით სრიალი,
მთელ დღეს—გუნდების სროლა...

ხოლო საღამო ხანად
მივუცუცქდებით ბუხრებს,
ამოვიფერთხავთ წინდებს,
ცეცხლს მივუფიცხებთ მუხლებს.

შევებრალებით დიდედოს,
მისი ჭირიმე ყელში!
კიბეს მიიდგამს კედელზე,
ზედ შებლოტდება ხვნეშით.

გარეთ თოვს. რა იქნებოდა,
მაინც ზამთარი ჩვენში,
რომ შემოდგომა არ გვყავდეს
გამომწყვდეული სხვენში!



წინ გვიდგას გობი ატმებით,
კომშით, ჩირით და ყურძნით,
თან წიგნს ჩავცქერით, თან ვთბებით,
თან... შემოდგომას ვცუცნით...

გარს უვლის მურა ბამბურა,
ბნელში ქოხ-ბოსელს ყეფით.
თოვს ხვავრიელად, ზღაპრულად—
ზამთრის ფაფუკი ფრთებით
გადაბამბულა მინდვრები,
გადაბამბულა მთები.

მხატვარი იოსებ სამსონაძე.






მხატვარი

**ვალერიან ჩეკურიშვილი** — **რევაზ ცუცქირიძე**

## თავი პირველი

მართა გაჯავრებული დაბრუნდა საკარმიდამო ნაკვეთიდან.

ბიძინა სახლის წინ ვაზს ფურჩნიდა, დედის ხმა რომ გაიგონა, ღობეს მოადგა და გადმოსძახა:

— დედა, რას ჯავრობ?

— სიმინდს რაღაცა შესჩვევია და გაუნადგურებია. აი, რამდენი ნაღრღენი ტარო ავკრიფე.

ბიძინამ მუშაობას თავი მიანება, საჩეხში აირბინა და დაყრილ ტაროებს დახედა. მაჩვმა იცის ტაროს ასე ღრღნა, მაგრამ ტყე ახლოს არაა და საიდან მოვიდოდა მაჩვი? დათვი რომ იყოს? არა, დათვს ასობით ჰექტარი სიმინდის ყანები უნდა გამოევლო, ვიდრე აქამდე მოვიდოდა.

—ნეტა რა არის ის ჩემი ცოდვით სავსე, ჯერ ღერს გადაამტვრევს, მერე ტაროს ქირჩნის, ერთი თუ არ მოეწონება, მეორეს მიადგება, — ჯავრობდა მართა.

— დედა, მე ნაკვეთში გადავირბენ და დავათვალიერებ, — თქვა ბიჭმა და წავიდა.

●

საყანე ნაკვეთი სოფლის განაპირას ჰქონდათ. ვიდრე ბიძინას მამა ჯანმრთელი იყო, ის ხნავდა, ის თესდა და თოხნიდა. ნაომარმა კაცმა თავს ნამეტანი ძალა დაატანა, დაიჯაფა, ჭრილობებმა პირი გახსნეს და კაცი ლოგინად ჩავარდა. ჰაი ექიმები, ჰაი მოვლა და პატრონობა... ლადო ხან მომჯობინდებოდა, შალით წელშეხვეული ეზოში ჯოხით გაივლიდა, ხან ისევ ლოგინში ჩაწვებოდა. საწყალი მართა ათად იყო გაჭრილი, ათას საქმეს ასწრებდა და მეუღლესაც არ აკლებდა მოვლა-პატრონობას, მაგრამ სენმა მაინც თავისი გაიტანა, — ოჯახს დედაბოძი გამოეცალა.

მას შემდეგ სულ ასე წვალებითა და ჯახირით მოდის მართა. უმამოდ გამოზარდა ბიჭი. ბიძინას სწავლაც უყვარს და მუშაობაც. წელს რვა კლასი დაამთავრა, თან ამოდენა ნაკვეთს უვლიდა. ამინდიც კარგი დაუდგა, ტყესავით აიქოჩრა სიმინდი, სამ-სამი ტარო დაიყარა. დედას უხაროდა, — წელს კარგ მოსავალს ავიღებთო, და აი, ახლა რაღაც ეშმაკი შეეჩვია და ანადგურებს ნაამაგარს.

ბიჭმა ნაკვეთი თავიდან ბოლომდე გულმოდგინედ დაათვალიერა, მაგრამ ჭყინტი ტაროები რისგან იყო ნაჭამი, მაინც ვერ გაიგო. მარტო იმას მიხვდა, რომ ის „რაღაცა“ იმოდენა ზღვა ყანებიდან პირდაპირ მათ ყანაში მოდიოდა. ეს ალბათ, იმიტომ, რომ ბიძინას სიმინდი ადრეულა იყო, სხვების ნაკვეთში კი მარცვალი ახლაღა ესახებოდა ტაროს.

ბიძინა ნაკვეთის ბოლოში საჩრდილობელ პანტასთან შეჩერდა. ხე შეათვალიერა. ტოტები უმწიფარი ნაყოფით იყო დაზვინული. ტაროობა რომ დაიწყება, პანტა უკვე მწიფს ხოლმე და სასიამოვნო საჭმელია.

ბიძინა შინ გულნატკენი დაბრუნდა.

— რა გაიგე, შვილო? — ჰკითხა დედამ.

— რა გაიგება, დედილო, ნაგვალავზე კვალი არ ეტყობა და არაფერი... მაჩვი იქნება, ან ძაღლი. თოფს წავიღებ, პანტაზე ავალ და იქიდან ვუყარაულებ

— მაჩვს მანდ რა უნდა, ბიჭო, ძაღლი იქნება, ძაღლმა იცის რძიანი ტაროს ჭამა.

ძაღლი იქნება, და ბიძინა შეაჭმევს კარგ ტაროს, მარილით გატენილ თოფს რომ ლეწავს გვერდში!

ბიძინამ ქვამარილი დაფშვნა და სამი ვაზნა საგანგებოდ გატენა.

— ბიჭო, მეზობლის ძაღლი იქნება, არ მოკლა, დააშინე, იქაურობას ახლოს რომ აღარ მიეკაროს! — დაარიგა დედამ.

მზე რომ გადაიხარა, მამისეული სანადირო თოფი აიღო და საყარაულოდ წავიდა. თემშარაზე რომ გავიდა, საფიხვნო ცაცხვის ქვეშ სკამფიცარზე ჩამომსხდარი ტოლები დაინახა. შუაში თორღვაშვილების მდგმური ბიჭი, ლაშა იჯდა და რაღაცას ჰყვებოდა. ლაშა თბილისელია, მამამისი—ავთანდილ გობეჯიშვილი ალაზნის არხის მშენებლობაზე მუშაობს ინჟინრად და ლაშა ზაფხულს მამასთან ატარებს...

ლაშას ფოტოაპარატი და ხმისჩამწერი აქვს ჩამოტანილი. სურათებს იღებს და ამბობს: ამ ეტიუდებს გაზეთში დავბეჭდავო. ლაშა ძალიან კარგი ბიჭია. აპარატი რომ სთხოვო, შიგ ახალ ფირს ჩადებს და ისე მოგცემს. თუ გინდა — ერთი კვირა გქონდეს, არ გეტყვის — მომიტანეო. ხმისჩამწერის განათხოვრება კი უჭირს...

ცაცხვის ქვეშ, საფიხვნოზე, თავშეყრილი მოხუცები საინტერესო ამბებს რომ ჰყვებიან, ლაშა ხმისჩამწერს მიიტანს და იწერს. განსაკუთრებით თქმულებებსა და ლეგენდებზე „ნადირობს“. ერთ-ორჯერ ყანის მკელთა სიმღერაც ჩაიწერა ახოებში.

ლაშამ თქვა: პატარა კინოაპარატიც მაქვს, წამოღებას ვაპირებდი, მაგრამ დამავიწყდაო. ეს კი არ სჯერათ, — ამლაშებსო, — ამბობენ ხოლმე ბიჭები.

აი, ეს ლაშა იჯდა ახლა ცაცხვის ქვეშ სკამფიცარზე და რაღაცას ჰყვებოდა.

ბიძინა ტოლებს მიესალმა.

— ბიძინა, რა უნდა მოჰკლა, სად მიდიხარ? — ჰკითხა ლაშამ.

ბიჭებს გაეცინათ.

— მონადირეს არ ეკითხებიან — სად მიდიხარო! — აუხსნეს ლაშას.

— რატომ, რა მოხდება? — გაუკვირდა ქალაქელს.

— ნადირს ვეღარ მოჰკლავს. მონადირეს გზა უნდა დაულოცო, — ხელი მოგემართოსო, — უნდა უთხრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიძინა, ხელი მოგემართოს! რა უნდა მოჰკლა? — ჰკითხა ლაშამ.

— მაჩვი.

— მართლა?

— მართლა გეუბნები. მაჩვი შევიგულე ერთგან და უნდა ჩავუსაფრდე.

— წამიყვანე.

— თოფი გაქვს?

— თოფი არა მაქვს... ფოტოაპარატი და ხმისჩამწერი მაქვს. ჯერ სურათი გადავუღოთ, ხმა ჩავიწეროთ და მერე მოვკლათ, — იხუმრა ლაშამ.



ბიძინა პანტაზე აცოცდა და ტოტებში მოხერხებულად ჩაჯდა. ირგვლივ მიმოიხედა. მის თვალწინ მწვანე „ზღვა“ იყო გადაშლილი. მარცხნივ, სულ ახლოს, მათი სოფელი იყო და ბაღებში ჩაფლული სახლის სახურავები წითლად მოჩანდა. მარჯვნივ, შორს, სხვა სოფლები ჩანდა.

...ვნახოთ და, ძაღლი კი არა, მაჩვი მოცუნცულდა. მაშინ ბიძინა მარილიანს გამოიღებს და საფანტიან ვაზნას ჩადებს თოფში, ფეხებში კი არა, ბეჭებში დაუმიზნებს. ცაცხვის ქვეშ ჩამომჯდარი ბიჭები გაიგონებენ და იტყვიან, — ბიძინას თოფის ხმა იყოო. ბიძინა ერთხელ კიდევ ესვრის. შეიძლება საჭირო არ იყოს, მაგრამ მესამეჯერაც ესვრის. ლამაზია თოფის ზედიზედ ქუხილი... მერე ჩამოხტება, ნადირს მხარზე გადაიკიდებს და, ცაცხვთან რომ მივა — ბიჭები შემოეხვევიან.

ნიავი სიმინდის ყანას აშრიალებდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მწვანე ზღვა ღელავდა.

კოლმეურნეობის სამჭედლოდან გრდემლ-ჩაქუჩის ხმა ისმოდა. მერე ტრაქტორი ათუხთუხდა და ბიძინა მიხვდა, რომ გოგიას მამა თავის „ბებერ“ ტრაქტორს არემონტებდა. ტრაქტორმა თუხთუხს უმატა და ისე აგუგუნდა, ყანის შრიალიც კი დაფარა.

ბოლოს, ყველაფერი მიწყნარდა, მხოლოდ ნიავი არხევდა პანტის ფოთლებს. ბიჭს თვლემა მოერია.

უეცარმა შრიალმა გამოაფხიზლა. ყურები სცქვიტა და მზერა იქითკენ მიაპყრო, საიდანაც ხმაური ისმოდა. სიმინდის ღეროები ირხეოდა. ვიღაც, თუ რაღაც დადიოდა ყანაში. ბიჭს გულმა ბაგაბუგი დაუწყო. პირველად ძაღლი ეგონა, მერე ძროხა, ბოლოს ქუდს მოჰკრა თვალი.

„ვინ არის, რა უნდა, სად მიდის?“ — ფიქრობდა ბიჭი და თვალს არ აშორებდა ნაბდის პატარა თუშურ ქუდს.

ქუდი ხან შეჩერდებოდა, ხან ისევ მიდიოდა, მიდიოდა პირდაპირ პანტისკენ. ბიჭი ტოტებში გაინაბა.

ქუდი მთლად მოახლოვდა, ბიძინამ ზაქრო წიოკაშვილი იცნო. იგი ზემოუბანში ცხოვრობდა, მეტსახელად მიწაჭამიას ეძახდნენ. ზაქრო პატარაობისას მიწის ჭამას დაჩვევია თურმე და მეზობლის ქალებს შეურქმევიათ ეს ზედმეტი სახელი.

წიოკაშვილს ხელში რაღაცით გატენილი ბადურა ეჭირა. პანტის ქვეშ რომ მივიდა, ბადურა ტოტზე დაჰკიდა, თვითონ მწვანეზე დაჯდა. სულგანაბული ბიძინა თვალს არ აცილებდა წიოკაშვილს. ის კი წარამარა დგებოდა ფეხზე, თითისწვერზე იწევდა და სადღაც იყურებოდა.

„ალბათ საიდუმლო შეხვედრა აქვს ვიღაცასთან“, — გაიფიქრა ბიძინამ.

მზე დასავლეთით ტყიან გორებს უახლოვდებოდა. მაინც ცხელოდა. კავკასიონის მწვერვალებზე მშრალი ღრუბლები აშლილიყვნენ. ნიავი ჰქროდა და მწვანე ზღვა ირწეოდა. მერე იმ ზღვაში ორი კაცი გამოჩნდა. ისინი ისე მოდიოდნენ, თითქოს ტალღებში მოცურავენო. მარტო თავები უჩანდათ, ხელებით სიმინდებს ირიდებდნენ და გზას ითავისუფლებდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მხარულს უსვამენო.

ორი უცნობი პირდაპირ პანტისკენ მოაპობდა მწვანე ტალღებს. მოდიოდნენ ფრთხილად, წარამარა იყურებოდნენ საჩრდილობელი ხისკენ. ბიძინას შეეშინდა, — არ შემნიშნონო, — და ხეს აეკრა.

მოახლოვდნენ. შეჩერდნენ. ერთმა ხმადაბლა დაუსტვინა მიწაჭამია იმ წამსვე ზეზე წამოხტა და საპასუხოდ ორჯერ მოკლედ დაუსტვინა. ალბათ ეს ნიშნავდა: — საშიში არაფერიაო.

პანტის ქვეშ შეხვდნენ ერთმანეთს. მოსულებმა უხმოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოართვეს ხელი მიწაჭამიას. ისინი დაღლილები იყვნენ, მწვანეზე დასხდნენ, ქუდები მოიხადეს და შუბლიდან ოფლი მოიწმინდეს.

— როგორა ხარ, მიწაჭამიავ! — ჰკითხა ერთმა, რომელსაც წითელი, გაუპარსავი წვერი ჰქონდა და ცისფერ თვალებს ხარივით აბრიალებდა.

— კარგად! — გაუღიმა წიოკაშვილმა.

ბიძინას ის ორი კაცი არასოდეს არ ენახა, არც იცოდა — სადაურები იყვნენ.

— მაგას კი არ გეკითხებით, პირობაზე როგორა ხარ?! — ჰკითხა დაბალმა, ჩექმებიანმა.

— პირობაზედაც კარგად!

— გაიგე რამე?

— ნაწილობრივ კი.

— ეგ ნაწილობრივ რაღა ჯანდაბაა, ნაწილობრივ გაგებული ამბავი საქმეს შველის?

— რისი გაგებაც შეიძლებოდა — გავიგე, მეტი რა ვქნა?

— თქვი, აბა რა გაიგე? — უთხრა წვერწითელმა.

— ჯერ რომელი გითხრათ, ძველი თუ ახალი?

— ძველზე თქვი, რა გაიგე?

—რა გავიგე? გუშინ საღამოს მილიციამ ნოქარი წაიყვანა! — თან ეშმაკურად გაიღიმა. მერე იმ უცნობებსაც გაედიმათ. ეტყობოდათ — გაეხარდათ.

— დააპატიმრეს?

— კი ბატონო, — მაღაზია შენ თითონ გაქურდე და სხვას აბრალებო.

— აგაშენა ღმერთმა! — თქვა სიამოვნებისაგან სახეგაბადრულმა ჩექმებიანმა.

ბიძინას თმები ყალყზე დაუდგა.

...ორი კვირის წინ, ერთ უჟმურ, უკუნეთ ღამეს სოფლის მაღაზია გაქურდეს. ნოქარმა დილით გაიგო ეს ამბავი, მაშინვე მილიციას შეატყობინა. მოვიდნენ, მოიყვანეს ძაღლი. კვალმა სოფელი გადაჭრა, ბაბურის მინდვრებზე სიმინდ-სიმინდ წავიდა, სოფელ ბირკიანის ბოლოში შარაგზამდე მივიდა, ძაღლმა იქ ცხვირი მაღლა ასწია და გაჩერდა.

,,ეტყობა, აქედან მანქანით წაიღეს'', — ჩაილაპარაკა გამომძიებელმა და უკან გამობრუნდა. მთელი დღე სოფელში იჯდა და თითქმის მთელი სოფელი დაჰკითხა. მერე წავიდა და აღარ გამოჩენილა. გუშინ საღამოს კი... ნოქარი მილიციამ წაიყვანა...

— თქვენ რა ჰქენით, გზაში ხომ არაფერი შეგემთხვევიათ? — ჰკითხა წიოკაშვილმა მოსულებს.

— მშვიდობით ვიმგზავრეთ, საქონელი უკვე მაღაზიას ჩავაბარეთ და იყიდება.

— ღმერთმა ხელი მოგვიმართოს და ამისთანა შანსს კიდევ ბევრს დავატრიალებთ.

— ეს მერამდენეა? — იკითხა მიწაჭამიამ.

— მეშვიდე!

— ამის საქმე როგორ არის? — წიოკაშვილმა ცერი და საჩვენებელი თითები ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვა.

— მომავალ კვირას მთლიანად იქნება! —უპასუხა წვერწითელმა.

— აბა, ახალი რა იცი? — ჩექმებიანმა მუხლებზე ხელები შემოიჭდო.

— ახალი ორი რამ ვიცი. ორივე შეიძლება გაკეთდეს, თუ ჭკვიანურად მოვიქცევით.

— აბა, პირველი... დაიწყე!

— პირველი: ჩემს მეზობელს, ხიწვაშვილს, თხუთმეტი სული ცხვარ-ჭედილა ჰყავს.

— მთაში? ძნელია! — არ დააცალა წვერწითელმა.

— არა, სოფელში. იმ ბიჭს სახლში მარტო დედა ჰყავს, ოთხმოცი წლისა.

— მერე?

— ღამით გომურს კლიტეს ადებენ და ეზოში ძაღლს უშვებენ.

— რა მოვუხერხოთ? — იკითხა ჩექმებიანმა.

— ის ბიჭი სოფლის გარეთ უნდა გავიტყუოთ. მარტო დედამისი დარჩება შინ, ის კი ვერაფერს გაიგებს, გამოყრუებულია.

— ძაღლი ხომ გაიგებს.

— ძაღლს რა უნდა, ხომ იცი, — კამეჩის რქაში ჩაუტენე შხამიანი კარაქი და ეზოში გადაუგდე. გამოტლეკს და ფეხებს გაჭიმავს.

— მერე, გვაქვს შხამი?

— შხამის მეტი რა გვაქვს, — თქვა წიოკაშვილმა.

— კამეჩის რქა?

— სამი ცალი კიდევ ვიშოვე.

— კლიტეს რაღა მოვუსკრხოთ? — იკითხა წვერწითელმა.

— მე ვნახე ის კლიტე და ვიცი, რომელი გასაღებიც მოერგება.

— ხიწვაშვილს რა ჰქვია?

— ვანო.

— ვანოს რა გასაღები მოვარგოთ?

— ეგეც მოფიქრებული მაქვს. ქალაქში უნდა წავიყვანოთ. კოლმეურნეობას ბევრი საზამთრო მოუვიდა. დღეს ვანოს მოველაპარაკე — მოდი, კოლმეურნეობიდან კილო ათ კაპიკად ვიყიდოთ, თბილისში წავიღოთ და ბაზარზე ოც კაპიკად გავყიდოთ-მეთქი.

— მერე, რაო?

— ჭკუაში დაუჯდა. გუშინ საღამოს იმათ ეზოში ვისხედით, ვანგარიშობდით, თან ერთი თვალით გომურის კარზე დაკიდებულ კლიტეს ვათვალიერებდი.

— შეთანხმდით?

— შევთანხმდით, მომავალ შაბათს ორი მანქანა საზამთრო უნდა წავიღოთ.

— მიწაჭამია კი არა — გენიოსი ხარ! — წვერწითელმა მხარზე დათვის ტორივით დაჰკრა ბანჯგვლიანი ხელი.

— მაშ, ვანოს — ქალაქი, ბებერს — ძილი, ძაღლს — შხამი, კლიტეს — გასაღები და ჩვენ...

— ჩვენ თხუთმეტი ჭედილა! — სიტყვა მიაშველა წიოკაშვილმა.

— მაშ, ისევ მანქანაა საჭირო! — საქმიანი კილოთი თქვა წვერწითელმა.

— რა თქმა უნდა! — დაუდასტურა ჩექმებიანმა, — ოღონდ, ამჯერად შარაგზით კი არა, ალაზნის ნაპირ-ნაპირ წავალთ, ბახტრიონზე გავალთ და ალვანში კაცს ჩავაბარებთ. ის თუში საიმედოა, სამ დღეში ფულად აქცევს. იმ დღესაც მითხრა, ერთი კარგი ძროხა მომიყვანეთ და სასადილოს გამგეს ნაღდ ფულზე მივცემო.

— მერე, მოვახერხოთ, მაგას რა უნდა, — თქვა წვერწითელმა, თან მიწაჭამიას გადახედა.

— მოვახერხებთ! — თვალი ჩაუკრა წიოკაშვილმა.

— მიწაჭამია, ჩვენ იმ ბებრის სახლი რომ არ ვიცით?





— მე გასწავლით. იცი, რა მოსახერხებელ ადგილას ცხოვრობენ! იმათ ეზოდან პირდაპირ აქეთ გამოხვალთ, სიმინდის ყანებში. შარაგზამდე ისე მიხვალთ, კაციშვილი ვერ დაგინახავთ.

— აბა, წავიდეთ, დავზვეროთ, დავგეგმოთ, მერე ჩვენ ხალაწანში ჩასასვლელები ვართ! — წამოდგა ჩექმებიანი.

— დაჯე, დაბალო! — კალთაზე დაქაჩა წვერწითელმა და თვალით პანტის ტოტზე ჩამოკონწიალებულ ბადურაზე ანიშნა.

მიწაჭამიამ მოლზე გაზეთი გაშალა, მერე ქაღალდში შეხვეული დედალი ამოიღო, ორი ბოთლი ჟიპიტაურიც ამოაძრო და სახელდახელოდ სუფრა გააწყო.

— ხალაწანში რაზე მიდიხართ? — ჰკითხა წიოკაშვილმა.

— იქ ერთს უნდა შევხვდეთ! — უპასუხა ჩექმებიანმა, — ფულიანი მეზობელი ჰყოლია, მანქანის ყიდვას აპირებსო.

— შემნახველ სალაროში იქნება შეტანილი! — ნაღვლიანად თქვა წიოკაშვილმა.

— ჩვენც ეგ გვინდა, რომ გავიგოთ, — ფული სახლში აქვს, თუ სალაროში. ორი თვეა ვუტრიალებთ და ვერ დავაზუსტეთ. ამაღამ ერთს უნდა შევხვდეთ, ვნახოთ რა ამბავს მოიტანს.

პანტის ტოტებში მიყუჟულ ბიძინას შიში თანდათან გაუნელდა და ახლა სულგანაბული დაჰყურებდა მოქეიფეებს, რომლებიც მოხარშულ დედალს გლეჯდნენ და მშიერი მგლებივით, თქვლეფდნენ, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო.

— მიწაჭამია, ცოლშვილს გაფიცებ, ეს დედალი დედაშენის გაზრდილია? — ჰკითხა ჩექმებიანმა.

— შენ ხილი იხილე, მებაღეს რას კითხულობ.

— არა, მართლა?

წიოკაშვილს გაეღიმა.

ამ დროს ყანაში შრიალი გაისმა. ქურდებმა ყურები ცქვიტეს. მათზე ადრე ბიძინამ დაინახა, რომ პანტისაკენ ნელა მოდიოდა ჭრელი, კუდალა ძაღლი.

წვერწითელმა ისედაც ბრიალა თვალები უარესად დაქაჩა, ჯიბიდან პისტოლეტი იძრო და წიოკაშვილს გულზე დაადო.

მიწაჭამიას სახეზე მიწისფერი დაედო.

კუდალა ძაღლი კი უდარდელად მოძუნძულებდა პანტისკენ. ალბათ ძვლების სუნი სცემდა, სულ ახლოს მოვიდა.

— რას გადამრიე, სად მოდიხარ, შე უპატრონო! — წვერწითელი წამოექაჩა და შეშინებულმა ძაღლმა ისე მოუსვა — ვიდრე სოფელს არ მიუხლოვდა, ხმა ვერ ამოიღო.

ქურდები დაშოშმინდნენ.

— მიწაჭამია, რა დაგიმალო, მე ვიფიქრე — შენ გაგვყიდე. მილიცია მეგონა. ცოცხალი თავით ჩვენ იმათ არ დავნებდებოდით, შენ კი პირველ ტყვიას მიიღებდი, — უთხრა წვერწითელმა.

— არყის სმა რას მოგვცემს, საქმეს მივხედოთ! — წამოდგა გუნებაწამხდარი ჩექმებიანი.

თითო ჭიქა ფეხზე დალიეს.

— მაშ ასე, ახლა წავალთ ხიწვაშვილების გომურის დასაზვერად, მალე ბინდიც ჩამოწვება. მომავალ ხუთშაბათს, დღის სამ საათზე, ისევ აქ შევხვდებით. წიოკაშვილო, დაწვრილებით ამბავს მოიტან, — შენ და ხიწვაშვილი როდის მიდიხართ თბილისში. ეცადე, შაბათს წახვიდეთ. კვირა ღამეს კი გომურს გავაღებთ. გასაგებია? — მეთაურის კილოთი თქვა წვერწითელმა.

— გასაგებია! — მორჩილად თქვა წიოკაშვილმა.

— აბა, წავიდეთ!

მიწაჭამიამ ნასუფრალი ისევ გაზეთში გახვია, ბადურაში ჩაალაგა და სამივენი გაუჩინარდნენ.

თვალს რომ მიეფარნენ, ბიძინამ შვებით ამოისუნთქა. ძირს ჩამოცოცდა. მიწას ფეხი რომ დაადგა, იგრძნო — ისევ კანკალებდა.

დღის სინათლე ნელ-ნელა კლებულობდა.

# თავი მეორე

ბიძინა დილით სხვენზე აძვრა, მამისეული ცული ჩამოიტანა, სალესით პირი აუწყო და სახლის წინ, ბაღჩაში, იონჯის გათიბვას შეუდგა. მუშაობდა და ისევ თვალწინ ედგა გუშინდელი ამბავი, ღამითაც ამაზე ფიქრობდა. ვერ გადაეწყვიტა როგორ ეხსნა უდანაშაულოდ დაჭერილი ნოქარი, როგორ გადაერჩინა ხიწვაშვილის ცხვრები და, რაც მთავარია, როგორ გაება ქურდები მახეში.

გზა ათასი არსებობდა, მაგრამ სწორი გზის არჩევანი იყო საჭირო.

იონჯის გათიბვა შუადღისას დაამთავრა. მერე დედას დაუბარა, ცოტა ხანს ბიჭებთან გავივლიო და ეზოდან გავიდა.

ბიჭები არც საფიხვნოსთან ისხდნენ სკამფიცარზე და არც სკოლის ეზოში თამაშობდნენ. ბიძინა ქვემოუბნისაკენ დაეშვა. თორღვაშვილების ჭიშკარს მიადგა და დაიძახა:

— ლაშა!

არავინ უპასუხა.

— ლაშა! — ხმას აუწია.

სახლის უკან, შამბნარში თავწარგული ბებერი ძაღლი ჩახლეჩილი ხმით აყეფდა. მერე აივანზე ლამაზი ქალი გადმოდგა და, ბატონოო, დაიძახა. ბიძინას აქამდე არ ენახა, მაგრამ მიხვდა, რომ ქალი ლაშას დედა იყო.

— ლაშა სახლშია? — ჰკითხა ბიძინამ.

— არა, გენაცვალე! რაშია საქმე?

— ნახვა მინდოდა.

— ერთი საათის წინ ბიჭებმა დაუძახეს, მგონი საბანაოდ წავიდნენ.

ბიძინამ ქალს მადლობა გადაუხადა და ალაზნისაკენ დაეშვა. მიჰყვებოდა ბილიკს, რომელიც ორიოდე კვირის წინ ოქროსფერ პურის ყანებში მიიკლაკნებოდა. ახლა მინდორი კომბაინით იყო გადაკრეჭილი და აქა-იქ ჩალა გროვებად ეყარა.

აგვისტოს მცხუნვარე მზე იკბინებოდა.

მწყრები ადრინდებულად აღარ ქვითქვითებდნენ — რაც კომბაინმა მინდორი მოატიტვლა, ხასიათი წაუხდათ.

ალაზანს რომ მიუახლოვდა, პირველად ცემენტის ქარხნის მშენებლობას მოჰკრა თვალი. „შეიძლება აქ არიან“, — გაიფიქრა და მივიდა. მუშების მეტი არავინ ჩანდა. მერე ლაშას მამა დაინახა, იგი თვითმცლელის მძღოლს რაღაცას ავალებდა.

— ავთო ძია, ლაშა აქ ხომ არ ყოფილა ახლახან?

— კი, იყო. აგერ, იქ ბანაობენ, — ხელით ანიშნა და მერე ისევ მძღოლს მიუბრუნდა.

ბიძინამ ცოტახანს მემონტაჟეებს უყურა, როგორ ადუღებდნენ ერთმანეთზე რკინებს. ისე იყვნენ საქმით გართულები, მათ წინ მდგარი ბიჭი არც კი შეუმჩნევიათ. მერე მშენებლებს თავი მიანება და სატრიალოსკენ გაეშურა (ასე შეარქვეს ბიჭებმა იმ ადგილს, სადაც მდინარე ხავსიან კლდეს ეჯახება, ტრიალებს და უზარმაზარ მორევს ქმნის). კლდის თავზე ზებერი მურყანი დგას და მდინარეს გადმოჰყურებს. მისი შიშველი ფესვები წყალში ჩაკიდებული თოკებივით ლივლივებენ, ბავშვები ჩაეჭიდებიან ხოლმე და ყიჟინით იძლებენ იქაურობას.



ბიჭები თევზებივით ეყარნენ ცხელ სილაზე და მზეს ეფიცხებოდნენ. ეტყობოდათ — ბანაობით გული იჯერეს და ახლა ნებივრად სთვლემდნენ.

— თუ მოდიოდით, რატომ მეც არ დამიძახეთ? — უსაყვედურა მათ ბიძინამ.

— არ გვეგონა სახლში თუ იყავი, — უთხრა ლაშამ.

ბიძინამ გაიხადა, ტანსაცმელს მრგვალი რიყის ქვა დაადო, ნიავმა არ გააფრიალოსო და მორევში მარტოკა გადახტა. წყალი პირველად ცივი მოეჩვენა, მერე შეეჩვია. ხან ჩაყვინთავდა, ხან მურყნის ფესვებს ჩაავლებდა ხელს და მდინარის ჩქერებს ეთამაშებოდა. ბოლოს ხავსიან ლოდზე აცოცდა და მურყნის ძირას ჩამოჯდა. სილაზე ბიჭები ბაყაყებივით ისხდნენ და ბიძინას უყურებდნენ, რაღაცას ეძახდნენ კიდეც, მაგრამ მდინარის შფოთვა-შხუილში არაფერი ისმოდა.

„ნეტა ვიცოდე, ლაშა მშიშარაა თუ გულადი?“ — ფიქრობდა ბიძინა.

„მშიშარა იქნება, ვერ გაბედავს... შეიძლება პირდაპირ არ მითხრას, მაგ საქმისა მეშინიაო, მაგრამ სხვა რამეს მომიმიზეზებს...“

ამ დროს ლაშა ფეხზე ადგა და ბიძინას რაღაცა დაუ-

ძახა. ვერ გააგონა. მერე ხელებით ანიშნა — აბა, მორევში გადახტიო.

„მგონი, მაგას მე თვითონ ვგონივარ მშიშარა,“ — გაიფიქრა ბიძინამ, კლდეზე გადადგა, ხელები წინ გაჭიმა და მორევში თავით გადაეშვა. ფსკერამდე ჩავიდა, იქ მუჭით ქვიშა ჩაბღუჯა და ნაპირზე რომ გავიდა, ბიჭებს დაანახა, მერე მივიდა და ლაშას გვერდით, ცხელ სილაზე წამოწვა.

— იქიდან მეც ვხტები, — უთხრა ლაშამ.

— მერე რა. ეგ იმას არ ნიშნავს, რომ შენ მშიშარა არა ხარ.

ბიჭებმა ყურები ცქვიტეს. ლაშა ჯერ გაფითრდა, მერე გაწითლდა და თვალებში მკვახედ შეხედა.

— რა იცი, იქნება შენ ხარ ჩემზე მშიშარა.

— მაგასაც გავიგებ.

— როდის?

— დღეს.

— დღეს კი არა, ახლავე გავიგოთ.

— რა გაჩქარებს?

— რაღას ვუცადოთ! ადექი! — წამოდგა ლაშა.

— მაცალე, გავთბე! — გაიცინა ბიძინამ. მერე გულაღმა გადაბრუნდა და ლაშას ქვემოდან ახედა.

— რას იჯღანები. ადექი და მე გაგათბობ. ვნახოთ — როგორი მშიშარა ვარ.

ბიძინა ზანტად წამოდგა.

ბიჭებიც წამოიშალნენ.

— ახლოს არ მოგვეკაროთ, — გააფრთხილა ლაშამ ყველანი.

— იქით გავიდეთ! — ანიშნა ბიძინამ.

წავიდნენ.

ირგვლივ რიყე იყო. მოქვიშული ადგილი მონახეს და იქ შეჩერდნენ.

— ქვას არ მოკიდო ხელი, მუშტებით ვიჩხუბოთ, — გააფრთხილა ლაშამ.

ბიძინამ ბიჭებისკენ გაიხედა. ისინი შორს იყვნენ და მათ ლაპარაკს ვერ გაიგონებდნენ.

— ლაშა, მე შენთან ჩხუბს არ ვაპირებ, — ისევ გაიცინა ბიძინამ.

— აბა, შენ ყოფილხარ მშიშარა, მე რას მეუბნებოდი?

— მე ახლაც იმას ვამბობ, ძალიან მინდა ვიცოდე — მშიშარა ხარ თუ გულადი.

— ჰოდა, გამომცადე, ვიჩხუბოთ.

— კარგი, გავიგე — ჩხუბისა არ გეშინია, მე მგონი, იმ საქმისა შეგეშინდება.

— რომელი საქმისა?

— არის რაღაც.

— თქვი, რა საქმეა და, გეტყვი, — მეშინია თუ არა.

— გუშინ და დღეს სულ ვფიქრობ — გითხრა თუ არა.

— თქვი, რა არის ასეთი.

— თუ შეგეშინდება, ის მაინც გააკეთე, რომ კრინტი არავისთან დაძრა.

ლაშამ დედა დაიფიცა, — არავის არ ვეტყვიო.

ქვებზე ჩამოსხდნენ.

ჩხუბის მომლოდინე ბიჭებს იმედი გაუცრუვდათ და ისევ სილაზე წამოწვნენ.

ბიძინამ ყველაფერი უამბო — პანტიდან დანახულიც და გაგონილიც. ლაშა გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა და სულგანაბული უსმენდა. ბოლოს ჰკითხა:

— მერე, რა გაქვს გადაწყვეტილი?

— გეტყვი, თუ გულადი ხარ — ახლა გავიგებ... შენ ერთხელ თქვი — კინოაპარატი მაქვსო.

— კი, მაქვს.

— გადაღება იცი?

— ვიცი.

— ხმისჩამწერიც ხომ გაქვს?

— მაქვს.

— ჰოდა, ის ქურდები ხუთშაბათს, დღის სამ საათზე, ისევ პანტის ქვეშ შეხვდებიან ერთმანეთს. მოდი, ისე მოვაწყოთ, რომ ფირზეც გადავიღოთ და ხმაც ჩავიწეროთ.

ლაშა ჩაფიქრდა, პატარა კენჭი აიღო და სილაზე ხაზებს ავლებდა... ბიძინას კი პასუხის მოლოდინში გული ელეოდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)





## სასვენი ნიშნები

**ს. მარშაკი**

წერტილთან, სადაც თავდება
უკანასკნელი პწკარი,
დიდი ხმაურით შემოკრბა
სასვენ ნიშანთა ჯარი.
ჯერ გაკვირვების ნიშანი—
მართლაც რომ გასაკვირი—
მოვარდა, მუდამ მყვირალა
ახლაც მთელი ხმით ჰყვირის.

მერე კითხვითი ნიშანი
მოჩოჩდა უთვალადო,
სულ რომ შეკითხვებს იძლევა:
— ვინ? ვის? საიდან? რატომ?
აქ მოცქრიალდნენ მძიმენიც,
ცუგრუმელებს რომ ჰგვანან,
მოთხრობასა თუ კარნახში
ნიშანსვეტად რომ დგანან.
პა, ორწერტილიც გამოჩნდა,
მას მოჰყვნენ მისი ძმანი:
მრავალწერტილი... და კიდევ
სხვანი, სხვანი და სხვანი...
და მძიმეებმა სიტყვა თქვეს,
მიმოიხედეს ავად:
— უჩვენოდ, ყველამ იცოდეს,
იოლად ვერვინ წავა!

— თუ თავს წერტილი არ ადგას,
მძიმეს ფასი აქვს მცირე!—
დარბაისლურად წარმოსთქვა
დეიდა წერტილმძიმემ.
აქ ორწერტილმა დანარჩენთ
გახედა ალმაცერად:
— ვერც წერტილმძიმე, ვერც მძიმე
ჩემთან ვერ მოვა, ვერა!
მე ერთი-ორად მეტი ვარ
ცალთვალა წერტილზედა,
მე ვარ, წესრიგს რომ ვამყარებ,
მე ორი თვალით ვხედავ!
— არა!—თქვა მრავალწერტილმა,
ამაყად, განა რიდით,—
გინდათ სიმართლე იცოდეთ?—
მე ვარ ყველაზე დიდი,
სადაც რაიმეს თქმა უჭირთ,
იქ მე ვარ გზა და ხიდი...
— რაო?—კითხვითი ნიშანი,
აღშფოთდა:—რაო? რა თქვი?
აქ გაკვირვების ნიშანიც
გაოცდა:—რაო! რა თქვი!
— ჩუმად!—თქვა ბოლოს წერტილმა,
ობოლმა, მარტოხელამ,—
ჩემით მთავრდება მოთხრობა,
მაშ... მე გჯობივართ ყველას!

## როგორ დაიწყო მეგობრობა

**ა. ბარტო**

პიონერებს ოქტომბრელნი
მიაჩნიათ პატარებად:
— ხელს ნუ გვიშლით!
ჩვენ ვთამაშობთ,
თქვენ კი ძილი გეპარებათ.
შინისაკენ გასწით ჩქარა,
რაც იცელქეთ, ისიც კმარა!

ოქტომბრელებს სკოლამდელნი
მიაჩნიათ პატარებად:
— ხელს ნუ გვიშლით!
ჩვენ ვთამაშობთ,
თქვენ კი ძილი გეპარებათ.
შინისაკენ გასწით ჩქარა,
რაც იცელქეთ, ისიც კმარა!

სწუხს პიონერხელმძღვანელი,
აგერ, ხმაც კი აიმაღლა:

— ჩვენ რაზმი გვყავს მოწინავე,
ოღონდ ცოტა ნაკლიც ახლავს—
ოქტომბრელებს რატომ დღემდე
ჩვენს რიგებს არ ვაკარებდით?
შევიკრიბოთ მათთან ერთად,
ვითამაშოთ პატარებთან!

უმალვე რგოლს მიაშურეს
პაწაწინა ვარსკვლავებმა,—
ფრენბურთი და ცეკვა-ხტომა,
ო, რამდენი გახარება!

რვაწლისანნი ფანჩატურში
გულს საუბრით ახარებენ:



— რად არ ვიწვევთ სკოლამდელებს?
რად ღირს მათთან დროს ტარება!
მოვიწვიოთ ჩვენთან ყველა,
ვითამაშოთ პატარებთან!

თარგმნა არნო ონელმა.

მხატვარი
დიმიტრი ზარაფიშვილი.

# ვიდრე წამოიზრდები და [illegible] [illegible]...

„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.“

...ვიდრე შენს დიდსა თუ მცირე შეცოდებას ჯერ კიდევ გამართლება მოეძებნება და უფროსები გულმოწყალედ ამბობენ, „ბავშვია და ეპატიებაო“, შენმა უფროსმა მეგობრებმა გადაეწყვიტეთ გესაუბროთ ზევრ ისეთ საკითხზე, რაც დაგეხმარება ხასიათის ჩამოყალიბებაში, მაღალი მორალისა და ზნეობის ადამიანად გახდომაში. სწორედ ისეთ ადამიანად გახდომაში, როგორზეც არა ერთხელ უთქვამთ: კაცური — კაციო. რაოდენ აზრტევადია ეს სიტყვა! კაცური კაცი — ადამიანი მაღალი ზნეობის, ადამიანი, რომლის იმედიც შეიძლება ყოველთვის გქონდეს, ამხანაგი და მეგობარი, რომელიც შენს ჭირს თავის ჭირად გაიხდის, გვერდში ამოგიდგება, წაფორხილებულს ხელს შეგაშველებს, სამშვიდობოს გაგიყვანს და შეუმჩნევლად გაგეცლება, აქაოდა, მადლობა არ მითხრასო, რადგან ის, რაც გააკეთა, მას მხოლოდ და მხოლოდ ადამიანურ ვალად მიაჩნია.

ჩვენ ბევრი, ძალიან ბევრი გვაქვს შენთან ამ საკითხებზე სასაუბრო. მაგრამ ეს საუბარი უფრო საინტერესო და სასარგებლო რომ იყოს, შენც მიიღე მასში მონაწილეობა. მოგვწერე წერილები როგორ და რა საკითხზე მიგაჩნიათ შენ და შენს ამხანაგებს სასურველად შემდგომი საუბრები. თქვენს ბავშვურ ურთიერთობაში რაში ვერ გარკვეულხართ, რა გაწუხებთ და რა ვიხარიათ.

მაშ ასე, პატარა მეგობარო, დღეიდან შენს ჟურნალში გაჩნდა ეს ახალი განყოფილება. ველით თქვენს წერილებს.

გზად მიმავალ ორ მეგობარს წინ დათვი შემოეყარათ. ერთი მაშინვე ხეზე აცოცდა და ფოთლებში გაუჩინარდა, მეორე კი მიწას გაეკრა და თავი მოიმკვდარუნა. დათვი მივიდა მასთან, მკერდზე ყური დაადო. ხიფათში ჩავარდნილმა სუნთქვა შეიგუბა, რადგან იცოდა, რომ დათვი მკვდარს არას ერჩის. მართლაც, დათვი მოსცილდა და თვალს მიეფარა, ხეზე ასული კაცი მაშინვე ჩამოვიდა ძირს და ამხანაგს ჰკითხა, რა ჩაგჩურჩულა დათვმაო.

— ნურასოდეს ნუღარ გაჰყვები ისეთ მეგობარს, რომელიც გაჭირვებაში მიგატოვებს და გიღალატებსო, — მიუგო ხიფათს გადარჩენილმა.

ეს იგავი, რომელშიც გაკიცხულია მშიშარა და მოღალატე კაცის საქციელი, იაკობ გოგებაშვილმა „დედაენაში“ საგანგებოდ შეიტანა. დიდ ქართველ პედაგოგს ადამიანის ერთერთ ყველაზე აუცილებელ თვისებად მეგობრობა და ამხანაგობა მიაჩნდა.

ჩვენ ამხანაგებად და მეგობრებად ვთვლით იმათ, ვისთანაც ერთად ვართ შრომის, სწავლისა თუ დასვენების დროს. გულისხმიერება, ყურადღება, თანაგრძნობა შენს გვერდით მყოფი ადამიანებისადმი, ზრუნვა მათზე, — აი, რაში გამოიხატება ამხანაგობა. მარტო ხუთებზე სწავლა როდი ამშვენებს პიონერს, მისთვის უცხო უნდა იყოს შური, სიძუნწე, მაბეზღარობა, უნდა შეეძლოს კარგი ამხანაგობა.

მესამე მეოთხედი დამთავრდა. სკოლის დერეფანში თვალსაჩინო ადგილას გამოაკრეს ხუთოსან მოსწავლეთა ფოტოსურათები. მეორე დღეს VI-კლასელი ხუთოსანი მოსწავლის გიას სურათი სტენდიდან გაქრა. სურათი ხელახლა გამოაკრეს, მაგრამ გაკვეთილების დამთავრებისას ვიღაცას იგი დაესერა. გამოირკვა, რომ ეს — გიას რამდენიმე თანაკლასელს ჩაედინა. მოიწვიეს კლასის კრება.



კარგი ამხანაგი ადვილად არ იპოვების, გზაზედ ცუდად არ იპოვების, იაფად ყურავინ იყიდის.

ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაგრე დაურღვეველია.

ამხანაგი ცხენი ფრიადია, სიხარულთა გამამდიდრებელია, სუფრათა შემამკობელია.

ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია.

ამხანაგი მტერთათვის მაზიანებელია, მოყვარეთათვის საიმედოვნეა, უცხოს თანა გამოსაჩენია და მეცნიერსა თანა მოსამსახურეა.

ამხანაგი მარტოსათვის ხმის გამცემია, ჯართათვის მარჯვებელია და ცოტას კაცთა შემაქცევლია.

ამხანაგი ჭირში მომხმარეა, სნეულებაში მკურნალია, სიკვდილში თავის წამგებია.

ამხანაგის უკეთესსა შენ რას იპოვნი?

სულხან-საბა ორბელიანი.

პიონერებმა დამნაშავეები გაკიცხეს, მაგრამ არც გიას დააკლეს ხელი.

— მართალია, გია ხუთოსანია, მაგრამ იგი ჩვენ არ გვიყვარს, ცუდი ამხანაგია, — განაცხადა გელამ. — პირველ მეოთხედში თემოს ალგებრის სახელმძღვანელო არ ჰქონდა და გიას სთხოვა. გიამ უპასუხა: სახელმძღვანელო საკუთარი უნდა გქონდეს, მაშინ თხოვა აღარ დაგჭირდებაო, და წიგნი არ მისცა.

— გახსოვთ, თინამ ფეხი რომ მოიტეხა და სკოლაში ვერ დადიოდა? ჩაება საუბარში ზურიკო, — რაზმის საბჭომ გიას დაავალა თინასათვის ყოველდღე შეეტყობინებინა საშინაო დავალებები. გია ხომ ხუთოსანია, შეეძლო მისთვის აეხსნა კიდეც, თუ რამე გაუგებარი ექნებოდა. გიამ კი უარი თქვა:— არა მცალიაო.

—აი, რატომ არ გვსურს, რომ მისი სურათი ჩვენი სკოლის საუკეთესო მოსწავლეთა სურათებს შორის ეკიდოს, — დაუმატა დალიმ, — მას მხოლოდ ნიშნები აქვს კარგი... პიონერი კი ყოველმხრივ სანიმუშო უნდა იყოს.

რასაკვირველია, ვინც გიას სურათი მალულად ჩამოხსნა და დახია, სწორად არ მოიქცა, მაგრამ გიას საქციელიც დასაგმობია — ასე არ იქცევიან ნამდვილი ამხანაგები, ნამდვილი პიონერები.

იყო კარგი ამხანაგი — ეს ნიშნავს: იყო გულისხმიერი, პირდაპირი, გაბედულად გმობდე როგორც შენს, ასევე შენი ამხანაგის არასწორ მოქმედებას, შეგეძლოს გამოასწორო შეცდომა, რომელზედაც მართებულად მიგითითეს.

ზოგიერთს ამხანაგობა სწორად არ ესმის. არის შემთხვევები, როდესაც ამხანაგი ამხანაგს საშინაო დავალებას გადააწერინებს, კარნახობს, ხელს უწყობს ცუდი საქციელის დაფარვაში და სხვ. გონიერი ადამიანები ამას „დათვურ სამსახურს“ უწოდებენ, რადგან ასეთი ამხანაგი იმ კაცს მოგვაგონებს. რომელმაც მძინარე მეგობრის შუბლზე დაფრენილ ბუზს ქვა დაარტყა, იმ ბრიყვული ვარაუდით, რომ აბეზარ ბუზს მეგობარი არ შეეწუხებინა.

არც ისვარგა, როცა მეგობარს უღირს საქციელზე პირში არ ეტყვი, უფროსებთან კი დააბეზღებ.

სოსომ დაინახა — გურამი პაპიროსს ეწეოდა. არავისთვის არაფერი

არ უთქვამს. მოუთმენლად ელოდა გაკვეთილების დამთავრებას. როცა მასწავლებელი მარტოდ დარჩა, მივიდა და ჩურჩულით უთხრა:—პატივცემულო მასწავლებელო, რაღაც უნდა გითხრათ, მაგრამ ძალიან გთხოვთ, არავინ გაიგოს, რომ მე გითხარით...

რა თქმა უნდა, თამბაქო ადამიანის უბოროტესი მტერია, მით უმეტეს საშიშია იგი მოზარდის ჯანმრთელობისათვის, მაგრამ არც სოსოს საქციელია მეგობრული, — მას შეეძლო უფრო გულმართლად და ვაჟკაცურად მოქცეულიყო...

ზოგიერთ პიონერს მეტად გულუბრყვილო წარმოდგენა აქვს მეგობრულ თავდადებაზე, ბრმად აჰყვება მეგობარს, არ უფიქრდება, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამა თუ იმ მოქმედებას. მას იტაცებს „მეგობრული რომანტიკა“, იზიდავს „საგმირო საქმეებში“ რაც შეიძლება მელე ჩაბმის სურვილი.

თამაზი და დათო კარგი ამხანაგები იყვნენ. დათომ სერიოზული შეცდომა დაუშვა, დანაშაული ჩაიდინა და, რატომღაც, სავსებით დარწმუნებული იყო, რომ სკოლიდან გარიცხავდნენ. სკოლასა და ოჯახში უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, გადაწყვიტა არქტიკაში გამგზავრებულიყო. გამგზავრების წინ ბარათი გაუგზავნა თამაზს, სადაც წერდა თავის განზრახვაზე და წინადადებას აძლევდა — თუ ჩემს ნამდვილ მეგობრად თვლი თავს, ჩემთან ერთად წამოდიო. თანხმობის შემთხვევაში მეგობრები ერთმანეთს სადგურში უნდა შეხვედროდნენ.

თამაზს მეგობრის სიბრალულმა და არქტიკაში „სახელის მოხვეჭის“ სურვილმა სძლია. დაჯდა და შეუდგა წერილის წერას: „ძვირფასო დედა და მამა! ნუღარ მეძებთ. მე, ჩემს მეგობარ დათოსთან ერთად, არქტიკაში მივდივარ. ჩემს განუყრელ მეგობარს დიდი უბედურება შეემთხვა და თავს ვალდებულად ვთვლი, ამ მძიმე წუთებში მასთან ვიყო. ნუ იტირებთ და ნურც მე მაგინებთ. ჩემო ძვირფასებო, თქვენი შვილი არც ქურდია და არც მაწანწალა, იგი ასე მხოლოდ თავისი მეგობრის გულისთვის მოიქცა. ჩვენ ჩამოვალთ გამარჯვებულნი. გკოცნით ბევრს. ვიჩქარი სადგურისაკენ. მშვიდობით. თქვენი შვილი თამაზი“.

მართალია, თამაზმა სადგურში წასვლა ვეღარ მოახერხა, რადგან ოთახში მამა შევიდა და წერილი დაუჭირა, მაგრამ სწორი იყო მეგობრის გადაწყვეტილება? რა თქმა უნდა — არა.

მამამ აუხსნა თამაზს, რომ არქტიკის დაპყრობისა და საგმირო საქმეებისათვის მხოლოდ სურვილი არ კმარა, — ამისთვის საჭიროა დიდი ცოდნა და ყოველმხრივი მომზადება. ხოლო დათოს მიმართ მეგობრობის დადასტურება ის იქნებოდა, რომ დახმარებოდა მას დაშვებული შეცდომის გამოსწორებაში, დაერწმუნებინა იგი, რომ გაქცევა სიმხდალეს ნიშნავდა.

მეგობარი სწორედ ის არის და კეთილ მრჩევლად ის გამოადგება ადამიანს, ვისაც ვითარების სწორად შეფასება და სწორი გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლია.

მეგობრული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა მართლაც რომ საჭიროა, უამისოდ მეგობრობა წარმოუდგენელიცაა, მაგრამ ჯერ კარგად უნდა იცოდე — რას ნიშნავს მეგობრობა.

სკოლაში, შესვენებისას, მეგობრებს შორის საუბარი ჩამოვარდა ფრანგი მწერლის ლუი ბუსენარის წიგნზე — „ჩხუბისთავი კაპიტანი“, რომელშიაც მეტად საინტერესოდაა ასახული ბურების გმირული ბრძოლა ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში მოზარდთა მონაწილეობა. ბავშვები გატაცებით ჰყვებოდნენ საინტერესო ეპიზოდებს ამ წიგნიდან. გოგლას ეს წიგნი წაკითხული არ ჰქონდა და ყურადღებით უსმენდა მეგობრებს.

— გინდა, მე გათხოვებ ამ წიგნს, — უთხრა გოგლას რეზომ, როცა მიხვდა, რომ მეგობარს წიგნის წაკითხვის უსაზღვრო სურვილი აღეძრა.

გოგლას თვალები გაუბრწყინდა:

— დღესვე წამოგყვებოდი შინ და გამოგართმევდი, მაგრამ ჩემი უმცროსი და უნდა დავიტოვო, დღეს დედა საღამოს ცვლაში მუშაობს.

— არა უშავს, წიგნს მე მოგიტან, — დაჰპირდა რეზო.

ნასადილევს რეზომ დედას სთხოვა:

— დედა, შეიძლება გოგლასთან წავიდე? მე მას დავპირდი — „ჩხუბისთავ კაპიტანს“ გათხოვებ-მეთქი.

— არაფერი საჭირო არაა, შინ იჯექი. თუ წიგნი უნდა — თვითონ მოვიდეს.

შეწუხდა რეზო, რა უთხრას ხვალ მეგობარს, რით იმართლოს თავი? რასაკვირველია, დედა — დედაა, მაგრამ შეიძლება ზოგჯერ ისიც შეცდეს. რეზოს კეთილი, ნამდვილი მეგობრული განზრახვა განზრახვად დარჩებოდა, რომ საქმეში მამა არ ჩარეულიყო. მან მოუსმინა რეზოს და ნება დართო გოგლასთან წასულიყო.

ამხანაგობის გრძნობის გაღრმავებას, მის განმტკიცებას სწავლასა და შრომაში — მეგობრულ დაახლოვებამდე მივყავართ. მეგობრობა ხომ ამხანაგობის უმაღლესი საფეხურია. გასაჭირისა თუ სიხარულის, ფიქრებისა და ოცნების გაზიარება — აი, რა ახასიათებს ნამდვილ მეგობრობას. თავისთავში ჩაკეტილი, თავკერძა და ძუნწი ადამიანი მეგობრად არ გამოდგება.

ქართული ფეხბურთის ვეტერანი ბორის პაიჭაძე და მისი სახელოვანი ამხანაგები — გ. ჯორბენაძე, გ. გაგუა, მ. ბერძენიშვილი, ა. იმნაძე და სხვები, პირველ მატჩებს ფოთში ჭინჭის ბურთით ან, უკეთეს შემთხვევაში, ღორის ბუშტით ატარებდნენ, რეზინის და ტყავის ბურთზე მხოლოდ ოცნება თუ შეეძლოთ. და აი, ერთ ზაფხულს მოხდა სასწაული: იმ „დიდ ეზოში“, სადაც ბიჭები „ორგოლობანას“ აჩაღებდნენ ხოლმე, თბილისიდან ჩამოვიდა მათი თანატოლი ყმაწვილი და თან ნამდვილი ტყავის ბურთი ჩამოიტანა. ამ ჩასუქებულ ყმაწვილს ამირანი ერქვა. გაბღენძილი და ბუტია ბიჭი ჩანდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ბურთი ჰქონდა, და მერე რა ბურთი — ტყავის! წითელი!

იჯდა ამირანი მეორე სართულის აივანზე, ხელში მომაჯადოებელ ბურთს ათამაშებდა და ეზოში გამოსულ ბიჭებს ახარბებდა. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღეს. ბოლოს, ბორის პაიჭაძემ და მისმა ამხანაგებმა გადაწყვიტეს, ეჩვენებინათ ამ ბღენძია ბიჭისათვის თამაში, იქნებ ამით ჩამოეტყუებინათ ეზოში. მართლაც, გააჩაღეს „ორგოლობანა“ ღო-

რის ბუშტით. ხერხმა გასჭრა და ამირანი, თავის ბურთიანად, ეზოში ჩამოგორდა:

— აი, ბურთი! ოღონდ მეც მათამაშეთ. — გაიხარეს ბიჭებმა. გამოიწვიეს მეზობელი ეზოს გუნდი. ამირანი მეკარედ დააყენეს, ჯორბენაძესა და ბერძენიშვილს დაცვა დააკისრეს, გაგუას — ნახევარდაცვა, იმნაძეს — გარემარბობა. ცენტრად და კაპიტნად პაიჭაძე აირჩიეს. წითელი ტყავის ბურთი თამაშში შეიყვანეს. დაჩაგრა მოწინააღმდეგე პაიჭაძის გუნდმა, სულ მეტოქის კართან იყო თამაში. ამირანი თავის კართან უსაქმოდ იდგა და ამიტომ თამაში შეაწყვეტინა: — მეკარეობა არ მინდაო, ცენტრობა და კაპიტნობა დაიჩემა, — ბურთს წავიღებ და წავალ, თუ არ დამთანხმდებითო.

რა გზა იყო, დამორჩილდნენ და ათამაშეს წინ. იძუნძულა, იძუნძულა, მაგრამ ვერაფერი გააკეთა. მერე, წამოვიდა ბ. პაიჭაძე, სამი მოთამაშე მოატყუა ერთად, მეკარესაც აუარა გვერდი და ზედ ცარიელი კარის გასწვრივ გაუგორა ბურთი ამირანს — შეაგდე და გაიხარეო... მოიქნია ფეხი ამირანმა, ბურთს ააცილა. თავი ველარ შეიკავა და ზღართანი მოადინა. ბიჭებმა სიცილი დააყარეს... ძლივს წამოდგა ამირანი, გაგულისდა: თქვენი ბრალია, განგებ მომიწყვეთ ესაო, — აიტაცა თავისი ბურთი და სლუკუნსლუკუნით აზოზინდა კიბეზე. დარჩნენ გულდაწყვეტილი ბიჭები ღორის ბუშტის ამარა...

რა მოხდა შემდეგ? თუ ამის გაგება გაინტერესებთ, შეგიძლიათ წაიკითხოთ მინდია მოსაშვილის წიგნი „ფეხბურთის კარუზო“.

იყო ნამდვილი მეგობარი, ეს ნიშნავს — ცხოვრობდე შენი ამხანაგების, შენი კოლექტივის ინტერესებით, იყო ყოველთვის თავმდაბალი, გულწრფელი, სამართლიანი. მეგობრის ნდობასა და პატივისცემას მხოლოდ ასე დაიმსახურებ. თავკერძა, ხარბი და უხასიათო არასოდეს ამხანაგად, მით უმეტეს მეგობრად, არ გამოდგება.

ჩვეულებრივ, მეგობრული კავშირი ბავშვებს შორის კლასის, პიონერული რაზმის კოლექტივში მყარდება. მეგობრობა ისეთი ურთიერთდამოკიდებულებაა, რომელიც საერთო მიზნებს, იდეებს, ურთიერთ სიმპატიებსა და მაღალ პრინციპულობას ემყარება.

შენ ბევრი ამხანაგი გყავს, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ზოგიერთს თვლი მეგობრად. მეგობრობას უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ასულდგმულებს. მართალია, ეს გრძნობა უცებ არ ჩნდება, დაახლოვება დროს მოითხოვს, მაგრამ, სამაგიეროდ, დამეგობრების შემდეგ ადამიანები ხანგრძლივად, ზოგჯერ კი სამუდამოდ, უკავშირებენ ერთმანეთს მთელ თავიანთ ცხოვრებას.

რაც უფრო მეტად კეთილშობილურია და მნიშვნელოვანი ის საერთო საქმე, რომელსაც მეგობრები ემსახურებიან, მით უფრო მტკიცეა მათი მეგობრობა. შესაძლოა შემთხვევითაც კი გაიცნო ამხანაგი, დაუახლოვდე, ხოლო მომავალ სერიოზულ საქმიანობაში დაუმეგობრდე და დაუკავშირო მას მთელი შენი ცხოვრება.

საყოველთაოდ ცნობილი და სამაგალითო იყო მარქსისა და ენგელსის, ლენინისა და გორკის, ილიასა და აკაკის მეგობრობა.

1842 წლის შემოდგომის მიწურულს ქ. კელნში, „რეინის გაზეთის“ რედაქციაში, პირველად შეხვდნენ ერთმანეთს კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი. შემდგომში მათ შორის გაიმართა მიმოწერა, ხოლო 1844 წლის აგვისტოში ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, პარიზში. ეს შეხვედრა მათი დიდი მეგობრობის, სამეცნიერო მოღვაწეობისა და რევოლუციური ბრძოლის დასაწყისად იქცა, ერთად დაწერეს ბევრი მნიშვნელოვანი ნაშრომი, მათ შორის — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ — მეცნიერული კომუნიზმის პირველი საპროგრამო დოკუმენტი. ისინი ერთად იზიარებდნენ მოწინააღმდეგეებზე გამარჯვების სიხარულსაც და მძიმე ემიგრანტულ გაჭირვებასაც. მათ მოგვცეს მეგობრული ერთგულებისა და თავდადების არნახული მაგალითი.

„მას შემდეგ, რაც ბედმა კარლ მარქსი ფრიდრიხ ენგელსს შეახვედრა, ორივე მეგობრის სასიცოცხლო შრომა მათი საერთო საქმე გახდა...

ძველებური გადმოცემები მოგვითხრობენ მეგობრობის სხვადასხვა ამაღელვებელ მაგალითს. ევროპის პროლეტარიატს შეუძლია თქვას, რომ მისი მეცნიერება შექმნა ორმა სწავლულმა და მებრძოლმა, რომელთა ურთიერთობა აღემატება თვით ძველთა ყველაზე ამაღელვებელ თქმულებებს მეგობრობის შესახებ“ (ვ. ი. ლენინი).

გასული საუკუნის საქართველოში ეროვნულ - განმათავისუფლებელი ბრძოლის პროცესში ჩამოყალიბდა და განმტკიცდა სასიქადულო ქართველი პოეტებისა და საზოგადო მოღვაწეების — ილიასა და აკაკის მეგობრობა.

პიონერი ჩვენი ქვეყნის მომავალი მშენებელია. ეს კი მისგან მოითხოვს ცხოვრებისათვის მომზადებას, მეცნიერული ცოდნის დაუფლებას. ამიტომ, დღეს პიონერთა მთავარი საბრძოლო ამოცანა — სწავლაა! სწორედ სწავლაში, შრომაში, პიონერულ მუშაობაში უნდა დაუკავშირდნენ ერთმანეთს ისინი და საერთო საქმე, საერთო ინტერესები საკუთარ საქმედ და ინტერესებად აქციონ.

ყოველი გონიერი ადამიანი ეძებს მეგობარს, თანამოაზრეს, თანამებრძოლს. მეგობრობის სპეტაკი და მაღალი გრძნობა, მეგობრის მხარდამხარ სიარული აასკეცებს ძალას, აკეთილშობილებს და სულიერად ამდიდრებს ადამიანს.

ჩვენი მეგობრები — ჩვენი სიმდიდრეა!

შოთა რუსთაველი, რომელმაც მეგობრობასა და სიყვარულს უკვდავი ჰიმნი უგალობა, ჯერ კიდევ 800 წლის წინათ ამბობდა:

**„ვინ მოყვარესა არ ეძებს,**
**იგი თავისა მტერია“.**

და თუ გსურს გყავდეს ბევრი და ნამდვილი მეგობარი, შენ თვითონ უნდა იყო მაღალი ადამიანური თვისებების მქონე.

**გალაქტიონ სიხარულიძე,**
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.



ბოზსი: მხოლოდ საერთო ბედნიერებაში შეიძლება პირადი ბედნიერების პოვნა.

ჟ. რაპრუიერი: რაღაც სირცხვილის მსგავსს განიცდი, როცა თავს ბედნიერად გრძნობ სხვათა უბედურების დროს.

ლეონარდო და ვინჩი ბედნიერებას მიაღწევს ის, ვინც ბევრს შრომობს.

დ. დიდრო: ყველაზე ბედნიერი იგია, ვინც ყველაზე ბევრ ადამიანს ანიჭებს ბედნიერებას.

ნ. ნოვიკოვი: ბედნიერება სუსტი ბუნების ადამიანს აყოყოჩებს და ამკაცრებს, მაგრამ დიდბუნებოვანს კიდევ უფრო მეტი შარავანდედით მოსავს და საშუალებას აძლევს ემსახუროს კაცობრიობას.

დ. პისარევი: ბედნიერებას ღმერთი მწყალობელი კი არ გვაძლევს მზამზარეულად. იგი ბრძოლითა და შრომით მოიპოვება.

რ. როლანი: როცა ეგოისტური ბედნიერებაა ცხოვრების ერთადერთი მიზანი, — სულ მალე თვით ცხოვრება უმიზნო ხდება.

სოფოკლე: ბედნიერება დაუდევარ კაცს ვერაფერს უშველის.

სენეკა: ბედნიერებამ არ იცის საზღვარი.

ლ. ტოლსტოი: ბედნიერების უპირველესი პირობა შრომაა: პირველ რიგში, საყვარელი და თავისუფალი შრომა, შემდეგ, — ფიზიკური შრომა, რომელიც მადას გვიხსნის და მშვიდად გვაძინებს.

...ბედნიერება — უსინანულო სიამოვნებაა.

ჰერაკლიტე: ბედნიერება რომ მხოლოდ ფიზიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას წარმოადგენდეს, მაშინ ჩვენ ბედნიერად ჩავთვლიდით ხარებს, რომელთაც ცერცველა აქვთ საჭმელად.

ჰიუგო: სრულყოფილი ბედნიერებისათვის არ კმარა ბედნიერი იყო, იგი უნდა დაიმსახურო.

# ჩიტუნები

აგვისტო იწურებოდა. მშენებლები ჩქარობდნენ საბავშვო სახლების, სკოლების, ინსტიტუტების ნაგებობათა დამთავრებას. გრძელხორთუმიანი ამწეები ვალმოხდილნი ტოვებდნენ გამზადებულ სახლებს. მაგრამ გასაკეთებელი და შესამოწმებელი კიდევ რჩებოდა.

მე მშენებელი ინჟინერი ვარ. მშენებელი ინჟინრის ხვედრი კი ასეთია: თვით უნდა ნახოს ყველა სახლი, შეამოწმოს მისი ყოველი კუთხე; საუკეთესო დრო კი ამისათვის მაშინაა, როცა დარაჯის მეტი არავინაა მშენებლობაზე. სწორედ ასეთ დროს, მზის ჩასვლისას, მივედი მეც თბილისის ერთ-ერთი ინსტიტუტის მთავარ კორპუსში.

იატაკის დაგება მთავრდებოდა, კედლები და ჭერი თითქმის მზად იყო შესაღებად. ის იყო უკან გამოვბრუნდი, რომ უეცრად, ჩიტების გულსაკლავი წივილი შემომესმა, გეგონებოდათ, რაღაცას ჩიოდნენ... ჩიტები სვეტების თავზე დადგმულ კაპიტელებს აწყდებოდნენ, ახალშელესილ ნაკერებს ჩიჩქნიდნენ. ზოგიერთი მათგანი შეუმინავი ფანჯრებიდან ისე გავარდებოდა გარეთ, თითქოს მაშველ ძალას უხმობსო, და კვლავ ელვის სისწრაფით ბრუნდებოდა უკან.

უნებლიედ შევჩერდი. „ნეტა რამ შეაშფოთა ჩიტები ასე?!“—გავიფიქრე, მარტო ვიყავი, ვისთვის რა უნდა მეკითხა? გადავწყვიტე, ამეწია მძიმე კიბე და სვეტის კედელზე მიმედგა: გამეგო, რას ეძებდნენ ასე გამწარებით. როცა ჭერამდი ავედი, ჩიტუნები დაფრთხნენ და წუთით სიწყნარე ჩამოვარდა. კაპიტელის შიგნიდან უმწეო წივილი მომესმა.

ახლა კი მივხვდი, რომ შიგ ბარტყები იყვნენ მომწყვდეულნი. გამახსენდა დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“ და თვალწინ დამიდგა სურამის ციხის კედელში ჩატანებული ზურაბი, ფიქრის დრო არ იყო. ჯიბიდან ფანქარი ამოვიღე და, რადგან ხელთ სხვა იარაღი არაფერი მქონდა, კაპიტელის ჯერ კიდევ სველ ნაკერებს იმით დავუწყე ჩიჩქნა. მალე ღრუც გამოჩნდა. ხელი ძირს არც მქონდა დაშვებული, რომ ღრუში შევარდა გამწარებული დედაჩიტი. გაისმა ბარტყების მხიარული ჟღურტული...

ამ სურათმა ისე იმოქმედა ჩემზე, რომ ასეთივე ხვრელები კაპიტელების ნაოჭებში, სხვა სვეტებზეც გავაკეთე. ამის შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა. დარბაზში მხოლოდ ჭუჩის ხმაური შემოდიოდა...

ეს ამბავი ჩვენს კალატოზებსაც ვუამბე; ისინი დამპირდნენ, რომ დიდ სახლებში ყოველთვის დატოვებენ ხვრელებს ჩიტებისათვის.

 რ. ნინიძე

ტრესტ „საქმშენინდუსტრიის“ მმართველი.

10036.



# გაუმაძღარი მეფე და ალქიმიკოსი ჯადოქარი



გ. იურმინი

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

ზ ღ ა პ ა რ ი

უხსოვარ დროს ცხოვრობდა ერთი ბოროტი და ძალზე გაუმაძღარი მეფე. როგორც კი გაიგებდა, რომ მის რომელიმე ქვეშევრდომს ფული ჰქონდა, უმალვე აფრენდა თავის მსახურთ და იმ კაცს მოიხმობდა.

„ყური მოვკარი, — ეტყოდა მას მეფე,— გამდიდრებულხარ, ბევრი ოქრო დაგიგროვებია. რად არ უწილადებ მეფეს, რომელიც დღე და ღამ შენს კეთილდღეობაზე ფიქრობს?"

ამაოდ იფიცებოდა უბედური, — ღარიბად ვცხოვრობ, ფული არ გამაჩნიაო... მეფის მსახურნი ძარცვავდნენ მის სახლკარს და ღვთის ანაბარა ტოვებდნენ მშიერსა და მწყურვალს, წართმეული ოქროთი კი მეფე თავის უძირო საგანძურებს ავსებდა.

ასე დააგროვა მეფემ უთვალავი ოქრო, მაგრამ მაინც სულ ეცოტავებოდა. გადაწყვიტა, მეზობელი სახელმწიფო დაეპყრო, მაგრამ ომისთვის ფული იყო საჭირო, ხოლო ის, რაც ჰქონდა, არ ჰყოფნიდა. აი, სწორედ ამ დროს, ამ სამეფოში გამოჩნდა ჯადოქარი — ალქიმიკოსი.

მაგრამ, ვიდრე ამ ამბავს განვაგრძობდე, მე მინდა გიამბოთ ალქიმიასა და სასწაულებრივ ქვაზე..

ჯერ კიდევ უძველეს ეგვიპტეში ღვთისმსახურებმა, ქურუმებმა იცოდნენ გარდაცვლილი მეფეების, ფარაონების შემურვა განსაკუთრებული წამლებით —მურებით. იმისათვის, რომ ფარაონის ნეშტი დიდხანს შეენახათ, მას მუმიად აქცევდნენ.

მერედა, როგორ სალებავებს ამზადებდნენ ქურუმები! თიხის ჭურჭელს სულ კრიალი გაჰქონდა. გათხრების დროს მიწიდან ამოღებული ეგვიპტური სამკაულები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ოთხასი ათასი წლისანი არიან, ისევ ლაპლაპებენ და ბრჭყვიალებენ.

ამ თავის ხელოვნებას ეგვიპტელები „ქემიას" უწოდებდნენ, რაც „შავ მიწას" — „შავმიწა ნიადაგს" ნიშნავს.

ძველად ეგვიპტეს „ქემი" — „შავი მიწის" ქვეყანა ეწოდებოდა. ასეთი სახელწოდება მან იმიტომ მიიღო, რომ ნილოსის დაბლობის ნიადაგი შავი ფერისა იყო.

ჩვენი დროის ზოგიერთი მეცნიერი სიტყვა „ქემიის" წარმოშობას სხვაგვარად ხსნის და მიაჩნია, რომ იგი წარმოიშვა დედამიწის ზურგზე ქიმიის პირველი წიგნის ავტორის სახელიდან. რარიგ უცნაურიც არ უნდა იყოს, ხალხი ქიმიის შექმნას... „ციდან განდევნილ ანგელოსს" — ქემესს მიაწერდა.

არაბებმა ეგვიპტე რომ დაიპყრეს, ეგვიპტელი ქურუმებისაგან მათი ხელოვნება „ქემიაც" გადაიღეს, ოღონდ ამ სიტყვას არაბული ენისათვის დამახასიათებელი ნაწილაკი „ალ" დაუმატეს. ამგვარად, გამოვიდა „ალქემია" ანუ „ალქიმია".

არაბებიდან ალქიმია მთელ დედამიწის ზურგზე გავრცელდა.

პირველ ხანებში ალქიმიკოსები მეცნიერებისათვის სასარგებლო ცდებს აწარმოებდნენ — ამქვეყნიურ საზრუნავს განდგომილნი, დღე და ღამ ჩაკეტილნი ისხდნენ თავიანთ საკნებში, ალალბედზე ურევდნენ ერთმანეთში სხვადასხვა ნივთიერებას, რაღაცას აცხელებდნენ, აორთქლებდნენ, ახალ ნივთიერებათა თვისებებს სწავლობდნენ. სწორედ ალქიმიკოსებმა შესძლეს აღმოეჩინათ ზოგიერთი ლითონი: თუთია, ნიკელი, კობალტი, აგრეთვე ნივთიერება, რომელსაც ფოსფორი ეწოდება. მაგრამ შემდეგ ალქიმიკოსებმა მხოლოდ ერთ რამეზე დაიწყეს ფიქრი: უბრალო ლითონებიდან როგორმე მიეღოთ ოქრო. ამ მიზნისათვის ისინი ეძებდნენ ისეთ სასწაულმოქმედ ნივთიერებას, რომელიც ყველაფერს, უბრალო რიყის ქვასაც კი, ოქროდ აქცევდა. მათ მიერ გამოგონილ ჯადოსნურ ნივთიერებას „ფილოსოფიური ქვა" ეწოდა. სხვა სახელიც შეარქვეს მას: ბრძენი ქვა, დიადი ელექსირი, სიცოცხლის ელექსირი, პანაცეა, წითელი ქვა და ბრძენთა რეცეპტი. „ფილოსოფიურ ქვას" სახელი გაუვარდა, როგორც სამკურნალო საშუალებასაც. ალქიმიკოსები ირწმუნებოდნენ: ამ ქვის მფლობელი ბედნიერი, მუდამ ჯანსაღი და ლამაზი იქნებაო.

და აი, ბევრი ალქიმიკოსი გაქნილ თაღლითად და მატყუარად იქცა.

ცხადია, ყველას უნდოდა მდიდარი, ნიადაგ ახალგაზრდა, ჯანსაღი და ლამაზი ყოფილიყო. განსაკუთრებით, მეფეებს ჰქონდათ ეს სურვილი. მათ სამსახურში აჰყავდათ ალქიმიკოსები, უამრავ ფულს აძლევდნენ მათ, აჭმევდნენ, ასმევდნენ, აცმევდნენ და მხოლოდ ერთ რამეს სთხოვდნენ: ეს ზღაპრული ქვა მიეღოთ ლაბორატორიაში.

აი, სწორედ ასეთი მატყუარა ალქიმიკოსი გამოჩნდა იმ მეფის სამფლობელოში, რომლის შესახებაც მე დავიწყე თხრობა. მეფემ სამსახურში მიიწვია ჯადოქარი. და ისიც შეუდგა საქმეს.

დროგამოშვებით მეფე ეწვეოდა ლაბორატორიას, იმის გასაგებად, როგორ მიდიოდა საქმე. ჯადოქარი სულაც არ აქცევდა ყურადღებას დიდებულ სტუმარს და ჯადოქრობას განაგრძობდა. იგი ერთი უფეროსითხიანი ჭურჭლიდან მეორეში ასხამდა ასევე უფერულ სითხეს და ეს ნარევი მეწამული ხდებოდა. რაღაც ორ წამალს აურევდა ერთმანეთში და უეცრივ ყურთასმენის წამლები აფეთქების ხმა გაისმოდა.



ლაბორატორია აივსებოდა მწვავე, მყრალი ბოლით, რომელიც შეშინებულ მეფეს აიძულებდა ცხვირზე ხელმოჭერილი გაქცეულიყო.

ზოგჯერ მეფე თავს დაადგებოდა ჯადოქარს, როცა იგი გაუგებარი ბეჭდებითა და ნიშნებით მოხატულ უცნაურ რეცეპტს კითხულობდა. ჯადოქარი ყრუ ხმით გაჰყმუოდა:

— იმისათვის, რომ ბრძენთა ელექსირი გააკეთო, აიღე, შვილო ჩემო, ფილოსოფიური ვერცხლის წყალი და გაახურე იგი მანამ, ვიდრე მწვანე ლომად არ გადაიქცევა. შემდეგ ამისა, კიდევ უფრო ძლიერ გაახურე და ისევ გადაიქცევა წითელ ლომად. ქიმერული აჩრდილები ზედადგარს თავიანთ შავ მოსასხამს გადააფარებენ და შენ მის ქვეშ იპოვი ფრთოსან ურჩხულს, რომელიც თავის კუდსა ნთქავს...“

რეცეპტიც ამას ჰქვია! მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ამ ალქიმიკოსების „მუშაობა“ ოინბაზობისა და რეცეპტების მხატვრული კითხვის მეტი არა იყო რა. მეფის ფული იხარჯებოდა, ხოლო ალქიმიკოსს ნამცეცი ოქროც კი არ მიუღია. ბოლოს, მეფეს მობეზრდა ლოდინი, განრისხდა, ჯადოქარი მოიხმო და უბრძანა: — ხვალ დილას ოქროს ნატეხი უნდა მაჩვენო, ვერ შესძლებ— თავს მოგკვეთო!

დილით მიბრძანდა მეფე ალქიმიკოსთან. იგი მუშაობდა. პატარა ზედადგარზე მდგარ თასს, რომელშიც გამდნარი ლითონი ესხა, ჯადოქარი მზარეულივით ურევდა რკინის კოვზს.

უეცრად თასში რალაც აბრჭყვიალდა. მეფე შეხტა სიხარულისაგან.

—ოქრო! — შეჰყვირა მან და ჯადოქარს გადაეხვია.

ჯადოქარი კი, დგას და ეშმაკურად იღიმება.

მაგრამ აქ მეფემ თავი გაანება ხვევნაკოცნას და შეფიქრიანდა: — ვაითუ ეს თვალთმაქცობაა, ვაითუ ეს არ არის ოქრო! ვინ იცის, იქნებ რალაც უბრალო ლითონიაო!..

მეფემ თავისი მეჭურჭლეთუხუცესი მოიხმო.

— რას იტყვი, — ეუბნება მეფე, — ეს ოქროა?

— ოქროა, — უპასუხა მან, — ნამდვილი ოქრო.

გახარებულმა მეფემ ალქიმიკოსი დააჯილდოვა. მან კიდევ რამდენჯერმე მიართვა მეფეს ნატეხები, რისთვისაც უხვ საჩუქარს ღებულობდა.

ერთ მშვენიერ დღეს ალქიმიკოსი გაუჩინარდა. მეფემ ფეხზე დააყენა თავისი მსახურნი, მაგრამ ჯადოქარი თითქოს მიწამ შთანთქაო, ვერა და ვერ აღმოაჩინეს; მოკლე ხანში გამოირკვა, რომ ჯადოქარმა მოატყუა მეფე და გაიქცა.

ჯოხი, რომლითაც იგი ურევდა გამდნარ ლითონს, ჯადოსნური აღმოჩნდა, იგი მილაკი ყოფილა, რომელშიც ალქიმიკოსს წინასწარ ჩაუყრია ცოტაოდენი ოქროს ფხვნილი, რომელიც მას გულდაგულ ჰქონია შემონახული ამ შემთხვევისათვის. მილაკის ნახვრეტი ცვილით ყოფილა დაგმანული. როცა მეფე მივიდა მასთან, ალქიმიკოსმა თავისი „ჯადოსნური ჯოხი“ ჩაუშვა გამდნარ ლითონში. ცვილი უმალვე გადნა და ოქროს ფხვნილი ჩაიბნა თასში. მეფემ, რომელმაც ეს ეშმაკობა ვერ შენიშნა, იფიქრა: — ალქიმიკოსმა მართლა მიაგნო ფილოსოფიური ქვის საიდუმლოებასო.

ასე დარჩა გაუმაძღარი მეფე პირში ჩალაგამოვლებული.

იმ სასწაულებრივი ქვის ძებნისას, რომელსაც თითქმის ყველაფრის გადაქცევა შეეძლო ოქროდ, ადამიანებმა უფრო მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას მოჰკიდეს ხელი — ესწავლათ, როგორ შეიძლებოდა ერთი ნივთიერება გადაექციათ მეორედ.

...გადიოდა წლები. და ის, რასაც ვერა და ვერ მიაღწიეს ალქიმიკოსებმა, შესძლეს ნამდვილმა მეცნიერებმა — ქიმიკოსებმა. არა ფილოსოფიური ქვითა და ჯადოქრობით, არამედ ზუსტ მეცნიერულ მონაცემებზე დაყრდნობით მათ შესძლეს გამოეძებნათ ერთი ნივთიერების მეორედ გადაქცევის ხერხი. მათ, მაგალითად, მოახერხეს გოგირდი ექციათ ფოსფორად, ერთი გაზი — აზოტი — ექციათ მეორედ, — ნახშირბადად, ერთი ფოლადი — ნიკელი — მეორედ, — კობალტად.

ალქიმიკოსები ოქროს მიღებაზე ოცნებობდნენ. თანამედროვე მეცნიერებამ. ჯადოქრობის, შელოცვებისა და თაღლითობის გარეშე მართლაც მიაღწია ამას, — ლაბორატორიებში მიიღეს ოქრო (მართალია, მეტისმეტად ცოტა რაოდენობით; ამასთანავე, ამ ნამცეცა ოქროს მიღება წარმოუდგენლად ძვირი დაჯდა).

გარდა ამისა, დღეს ჩვენმა ქიმიკოსებმა შეხძლეს მიეღოთ ისეთი ნივთიერებანი, რომლებიც ყოველგვარ ძვირფასეულობაზე მეტად ფასობს.

თარგმნა ბაბო ვაშაძემ.





# კინემატოგრაფი

გივი ბარამიძე

თქვენ ალბათ ხშირად გსმენიათ, რომ კინო არის მილიონების ხელოვნება, ჩვენი საუკუნის უდიდესი მიღწევა, ხელოვნების დარგთა შორის ყველაზე ახალგაზრდა, მნიშვნელოვანი და მიმზიდველი დარგი, ესთეტიკური აღზრდის, მშვენიერების პროპაგანდის საუკეთესო საშუალება და სხვა... თქვენ გიყვართ ფილმების ნახვა. ხან მოგეწონებათ სურათი, ხან არა. გსურთ საფუძვლიანად გაერკვეთ ფილმის ავკარგში და, ხშირად, ამას ვერ ახერხებთ, იტყვით: „მომეწონა“ ან „არ მომეწონა“, და გრძნობთ, რომ ესაა ზერელე, დაუსაბუთებელი შეფასება, რწმუნდებით — თქვენთვის ესოდენ საყვარელი ხელოვნება არც ისე ადვილი შესაფასებელი ყოფილა. ამაში კიდევ უფრო დარწმუნდებით, თუ თვალს გადაავლებთ როგორ წარმოიშვა, რას წარმოადგენს და რატომ იქცა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ხელოვნება, რომელმაც ყველაზე მაღალი შეფასება—მშვენიერების მებაირაღტრის სახელი დაიმსახურა.

## ცოტა რამ წარსულიდან

1895 წლის 28 დეკემბერს პარიზს ელვის სისწრაფით მოედო სენსაციური ამბავი რაღაც „სასწაულმოქმედი“ თუ „ჯადოსნური ფარნის“ შესახებ. ყველას სურდა ენახა კაპუცინების ბულვარზე №14 სახლი, სადაც ამ დღეს ძმებმა ლუი და ოგიუსტ ლიუმერებმა თავიანთი გამოგონილი აპარატით საზოგადოებას უჩვენეს პირველი კინემატოგრაფიული სურათები: „მუშების გამოსვლა ქარხნიდან“, „მატარებლის შემოსვლა სადგურში“ და სხვა... ძმებმა თავიანთ გამოგონებას კ ი ნ ე მ ა ტ ო გ რ ა ფ ი უწოდეს (წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან: კინემა — მოძრაობა, გრაფოს — ვწერ), ხოლო ეს დღე სამუდამოდ შევიდა ისტორიაში, როგორც კინოს დასაწყისი, თუმცა ამ ოფიციალური თარიღის მიღმა ყოველთვის იგულისხმება ხანგრძლივი და რთული ტექნიკური განვითარების წინა პერიოდი. კინოს შექმნის მთელი ისტორია გვარწმუნებს, რომ ლიუმერების მიერ ჩატარებული პირველი საჯარო კინოსეანსები, ხოლო მასზე ადრე ედისონის მიერ გამოგონებული ერთი ადამიანის საყურებელი სანახაობა, — კ ი ნ ე ტ ო ს კ ო პ ი წარმოადგენს შედეგს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერების, მკვლევარების, ტექნიკოსების, გამომგონებლების რთული და მრავალფეროვანი კვლევისა. ადამიანმა როგორც კი შეიცნო მშვენიერება, შეეცადა, ცხოვრება ერთ გაქვავებულ მომენტში აესახა. ფერმწერები თუ მოქანდაკენი მოძრაობას ერთ გაქვავებულ მომენტში წარმოსახავდნენ. შორეული წარსულიდანვე მოძრაობის ასახვის მრავალმა ცდამ ბოლოს მეცნიერება სხვადასხვა ს ტ რ ო ბ ო ს კ ო პ უ ლ ი სათამაშოების გამოგონებამდე მიიყვანა (სტრობოს ბერძნულად ტრიალს ნიშნავს, ხოლო სკოპი — შესწავლას), რომელთა გაუმჯობესებულ სახეობას ზ ო ო ტ რ ო პ ი ეწოდა. ეს არის ხელსაწყო, რომელიც ვერტიკალური, ჭუჭრუტანებიანი ცილინდრისაგან შედგება და დამაგრებულია ქვესადგამზე. ცილინდრში თავსდება ადამიანისა თუ რაიმე საგნის მოძრაობის თანამიმდევრული ფაზებით მოხატული ქაღალდის ლენტი. ცილინდრის სწრაფი ტრიალის დროს ჭუჭრუტანებიდან მოძრაობის კინემატოგრაფული ეფექტი იქმნება. ამ სათამაშოს ყველაზე სრულყოფილ სახეს ედისონის „კ ი ნ ე ტ ო ს კ ო პ ი“ წარმოადგენდა. მისი მასიურ სანახაობად გადაქცევისთვის საჭირო გახდა ძველი გამოგონების „ჯადო-ფარნის“ გახსენება, რომლის საშუალებითაც ჯერ კიდევ უძველეს ეგვიპტეში ახდენდნენ „სასწაულმოქმედი“ ზღაპრული სილუეტების გაშუქებას ცეცხლისა და ამოჭრილი ტყავის გამოყენებით. უძველესი დროიდანვე „ჯადო-ფარნის“ ამ სისტემასთან იყო დაახლოებული ცნობილი ჩინური „ჩრდილების თეატრი“, ირანული „ყარაგიოზები“, სპარსული „დიაპოზიტივები“ და სხვ. „ჯადო-ფარნის“ დასრულებული სახე შეიქმნა იტალიაში, დაახლოებით, 1650 წელს. მისი ავტორია მამა-იეზუიტი კირხნერი. მაშინ ეს „ჯადო-ფარანი“ წარმოადგენდა კამერას, რომელშიც დგამდნენ სინათლის წყაროს. მისი შუქი გაივლიდა ლინზისებურ გამადიდებელ მინებს შორის მოთავსებულ გამჭვირვალე სურათს და კედელზე გადაჰქონდა სურათზე აღბეჭდილი გამოსახულება. როგორც კირხნერი, ასევე ბევრი სხვა სასულიერო პირი, ამ აპარატს იყენებდა რელიგიური აგიტაციებისათვის. სწავლულებმა „ჯადო-ფარანი“ თანდათან გააუმჯობესეს. ჯადო-ფარნის“ მეშვეობით ეკრანზე მიშუქებული გამოსახულება უძრავი იყო. შემდგომში მოძრავი ფოტოგრაფიის განვითარებამ კიდევ უფრო დააჩქარა კინემატოგრაფიის წარმოშობა, ამან კი საშუალება მისცა ადამიანს სამყარო აესახა მოძრაობაში.

## სამოცდაათი წლის ჭაბუკი—საუკუნეების გამოცდილებით

კინო, როგორც ხელოვნება, მხოლოდ ტექნიკური განვითარების შედეგი როდია — იგი სინთეზური ხელოვნებაა და წარმოადგენს ხელოვნების ყველა ძირითადი დარგის მთლიანობას. თეატრისაგან იგი იყენებს მსახიობის ოსტატობას, ფერწერისაგან — სიბრტყეზე საგნის განაწილებას, შუქ-ჩრდილების ტონალობას, არქიტექტურისა და ქანდაკებისაგან — პროპორციების კანონებს, მუსიკისაგან — ბგერათა ჰარმონიულ ქღერადობას, ლიტერატურისაგან კი—სიტყვიერი აზროვნების პოეტიკასა და სიუჟეტის მონტაჟურ განვითარებას. კინო, როგორც ხელოვნება, სწორედ ამ სინთეზური მთლიანობის საფუძველზე წარმოიშვა. მისი პირველი ნაბიჯები მთელი ათეული წლის განმავლობაში (1895—1905) ძირითადად ტექნიკური ჩამოყალიბებისა და კინოწარმოების შექმნის პერიოდს წარმოადგენდა, შემდეგ იგი გატაცებით დაეწაფა თეატრის, ლიტერატურისა და სახვითი ხელოვნების მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას, ამავე დროს შექმნა თავისი საკუთარი, ყველასაგან განსხვავებული სპეციფიური ენა — კინოენა.

თავდაპირველად კინოფირზე გადაჰქონდათ თვალსაჩინო სპექტაკლები, ლიტერატურული ნაწარმოებები, პოპულარული სიმღერების ინსცენირებანი. შემდეგ ფილმების გადაღება დაიწყეს სპეციალურად კინოსათვის შედგენილი სიუჟეტების მიხედვით. ადრინდელ ფილმებში, როცა არ იყო სიტყვიერი გახმოვანება, მოქმედების აზრს ეკრანზე წარწერებით გადმოსცემდნენ. ცხადია, დიდხანს ვერც მარტო სანახაობითი და გასართობი ფილმები დააკმაყოფილებდა მაყურებელს, მით უმეტეს, რომ ისინი 200-300 მეტრიანი ფირით 10-15 წუთის განმავლობაში გადმოსცემდნენ დიდი რომანებისა თუ პიესების მთელ შინაარსს. და აი, ჩვენი საუკუნის ოციან წლებში დაიწყო პირველი სერიოზული მხატვრული ფილმების შექმნა.













გამოჩენილი კინორეჟისორები. მარცხნივ: ჩარლი ჩაპლინი და მაქს ლინდერი, ზემოთ დავით გრიფიტი, სერგეი ეიზენშტეინი, ვ. პუდოვკინი, ა. დოვჟენკო, მ. ჭიაურელი.

მიუხედავად იმისა, რომ არც მაშინ იყო გახმოვანება, ამ ფილმებში სრულყოფით გამოვლინდა კინემატოგრაფის დიდი შესაძლებლობა. სიამაყით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ კინოს ისტორიის ამ პერიოდიდან, საფრანგეთის, ამერიკისა და რუსეთის თვალსაჩინო ფილმებთან ერთად, მსოფლიო ყურადღებას იპყრობენ ქართული ფილმებიც.

## ცოტა რამ ქართული კინოს ისტორიიდან

ძმებმა ლიუმერებმა პარიზელ საზოგადოებას თავიანთი გამონაგონი რომ გააცნეს, ერთი-ორი წლის შემდეგ, 1897 წლის 3 მაისს, თბილისელმა მაყურებლებმაც ნახეს ფრანგული კინოსურათები. ამ უდიდესი სიახლისადმი ინტერესი ძალზე დიდი იყო. ბუნებრივია, ბევრი ნიჭიერი თანამემამულე გაიტაცა კინოფილმების შექმნაზე ფიქრმა, მაგრამ ეკონომიურად და ტექნიკურად ჩამორჩენილ იმდროინდელ საქართველოში რაიმე ახალსა და საუკეთესოზე ოცნება კარგა ხანს განუხორციელებელი რჩებოდა. საკუთარ კინოწარმოებაზე ფიქრი წარმოუდგენელიც იყო. მიუხედავად ამისა, კინემატოგრაფის ისეთი პირველი პოპულარიზატორები, როგორიც იყვნენ დავით დიღმელოვი, მისი უფროსი ვაჟი ალექსანდრე დიღმელოვი და ვასილ ამაშუკელი, არ შეუშინდნენ დაბრკოლებებს. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ვ. ამაშუკელს, რომელმაც თავი გამოიჩინა არა როგორც მხოლოდ კინომექანიკოსმა, არამედ შესანიშნავი დოკუმენტური ფილმების შემქმნელმა. „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, რომელიც მან 1912 წელს გადაიღო, მართლაც მნიშვნელოვანია მხატვრული ხერხებისა და კინემატოგრაფიული მეტყველების მხრივ, თავისი მიზანდასახულობითა და ჟანრობრივი თვისებებით. ამაშია მისი პირველობაც, თორემ მასზე ადრე უკვე არსებობდა



„ჩაპაევის“ გადაღებაზე

ა. დ. დიღმელოვისა და თვითონ ვ. ამაშუკელის მთელი რიგი დოკუმენტური ფილმები. რევოლუციამდელ საქართველოში პირველი მხატვრული ფილმია „ქრისტინე“ (1916), რომელიც ა. წუწუნავამ დადგა ე. ნინოშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. 1921 წელს, რეჟისორმა ივანე პერესტიანმა შ. დადიანის სცენარის მიხედვით შექმნა ფილმი „არსენა ჯორჯიაშვილი“, რომელშიც 1905 წლის რევოლუციის თემაა ასახული. ყველაზე დიდი პოპულარობა კი ამავე რეჟისორის მიერ 1923 წელს დადგმულმა კინოსურათმა „წითელმა ეშმაკუნებმა“ (სცენარის ავტორი—პ. ბლიახინი, ოპერატორი —ალ. დიღმელოვი) მოიპოვა. იგი მიმზიდველ, რომანტიკულ ფერებში ასახავს სამოქალაქო ომის თემას. ამის შემდეგ, დაახლოებით 1929 წლამდე, თვალსაჩინო ადგილს იკავებს ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებების ეკრანიზაცია („მამის მკვლელი“, „სურამის ციხე“, „სამი სიცოცხლე“, „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმე“, „ვინ არის დამნაშავე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ხანუმა“, „გიული“ და სხვ.), რომელთა შორის საეტაპო ნაწარმოებად ითვლება ა. ყაზბეგის მოთხრობის მიხედვით შექმნილი ნ. შენგელაიას ფილმი „ელისო“ (1928). თავისი ფსიქოლოგიური და რეალისტური ხასიათით, ამ ფილმმა ახალი სიტყვა თქვა კინემატოგრაფიაში.

1928 წელს მოსკოვში ჩატარებულმა პირველმა საკავშირო თათბირმა კინოს შესახებ მნიშვნელოვანი სიახლე შემოიტანა. ამის შემდეგ შეიქმნა თვალსაჩინო ფილმები: „ჯანყი“, „კომუნარის ჩიბუხი“, „საშა“, „ჩქარი № 2“, „ჯიმ შვანთე“, „ახალგაზრდობა იმარჯვებს“, „საკანი № 79“, „ხოლტზე“, „ხაბარდა“, „ღრუბელთა თავშესაფარი“ და სხვა... ამ წლებში ქართული კინემატოგრაფიის აღმავლობის საქმეს დიდად შეუწყვეს ხელი მსახიობებმა: ნ. ვაჩნაძემ, ე. ჩერქეზიშვილმა, ც. წუწუნავამ, მ. ჭიაურელმა, მ. გელოვანმა, კ. მიქაბერიძემ, ა. ხინთიბიძემ, ს. ფალავანდიშვილმა და სხვებმა.

კ. მარჯანიშვილის ფილმი „გოგი“, რომელიც 1927 წელს გამოვიდა ეკრანზე, თანამედროვე თემაზე შექმნილი პირველი ქართული საბავშვო ფილმია.

მხატვრულ ფილმებთან ერთად ყურადღებას იპყრობს ქრონიკალურ-დოკუმენტური კინემატოგრაფიაც.

პირველი ხმოვანი სურათი საქართველოში 1931-32 წლებში გამოვიდა (ფილმი „ბაგირი“, რეჟისორი—ლ. ესაკია, სცენარის ავტორი—გ. მდივანი). და უნდა ითქვას, რომ საერთოდ ამ პერიოდისათვის სხვადასხვა მეცნიერების: ფიზიკის, ქიმიის, ოპტიკისა და მექანიკის ახალმა განვითარებამ კინოს ტექნიკური და მხატვრული გამომსახველობითი საშუალებების სწრაფი აღმავლობა გამოიწვია. მაგრამ კინოში ყოველ ახალ ტექნიკურ მიღწევებს არ აკლდა მოწინააღმდეგენიც. როცა ოცდაათიანი წლების დასასრულს პირველად ამოიდგა ხმა „დიდმა მუნჯმა“ (ასე უწოდებდნენ კინოს „უხმობის“ დროს), როგორც საზღვარგარეთ, ასევე ჩვენში, შეეცადნენ დაემტკიცებინათ, რომ გახმოვანება დაჩრდილავდა „დიდი მუნჯის“ ყველა საუკეთესო თვისებას: პლასტიკას, მიმიკას, დინამიურობას და სხვა... მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ იყო სწორი მტკიცება.

საქართველოში სწორედ ხმოვანი კინოს პირველსავე პერიოდში (1933-41 წ.წ.) გამოვიდა ისეთი საუკეთესო ფილმები, როგორიცაა: „უკანასკნელი მასკარადი“ (რეჟისორი მ. ჭიაურელი), „არსენა“ (მ. ჭიაურელი), „დარიკო“ (ს. დოლიძე), „ნარინჯის ველი“ (ნ. შენგელაია), „მფრინავი მღებავი“ (ლ. ესაკია), „დაკარგული სამოთხე“ (დ. რონდელი), „დაგვიანებული სასიძო“ (კ. მიქაბერიძე), „დიადი განთიადი“ (მ. ჭიაურელი), „ქაჯანა“ (კ. პიპინაშვილი), „კოლხეთის ჩირაღდნები“ (დ. რონდელი) და სხვ. ამავე პერიოდში რეჟისორ-მხატვარ ვ. მუჯირის ინიციატივით ეყრება საფუძველი ქართული ნახატი-ფილმის განვითარებას („არგონავტები“, „გაიძვერა“, „ჩიორა“ და სხვ.).

დიდი სამამულო ომის პერიოდში გამოშვებულ იქნა ფილმები: „ხიდი“, „ის კიდევ დაბრუნდება“ და სხვები, რომლებიც ჩვენი ხალხის გმირულ ბრძოლაზე მოგვითხრობდნენ. შეიქმნა გმირულ-ისტორიული ეპოპეა „გიორგი სააკაძე“ (ორი სერია, 1942-43 წ.წ.). 1944 წელს გამოვიდა ფილმი „ჯურღაის ფარი“, რომელშიაც ნაჩვენები იქნა ქართველი ხალხის სულიერი სიმდიდრე და სილამაზე. სამამულო ომის შემდეგ, მთელი ათეული წლის განმავლობაში, „ქართულმა ფილმმა“ სულ რაღაც შვიდიოდე სურათი გამოუშვა „ფიცი“, „აკაკის აკვანი“, „დავით გურამიშვილი“, „ქეთო და კოტე“, „ბედნიერი შეხვედრა“, „გაზაფხული საკენში“, „მწვერვალთა დამპყრობნი“.

1954-1960 წლებში კინოსტუდია „ქართული ფილმი“ კვლავ იპყრობს ყურადღებას თავისი თემატური და მხატვრული მრავალფეროვნებით. განსაკუთრებით, თავი იჩინა თანამედროვე ცხოვრების ამსახველმა ფილმებმა: „ჭრიჭინა“, „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, „ორი ოკეანის საიდუმ-



კადრი ფილმიდან „ჩვენი ეზო“

ლოება“, „ჩვენი ეზო“, „ჩრდილი გზაზე“, „საბუდარელი ჭაბუკი“, „სხვისი შვილები“, „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“, „განძი“, „კეთილი ადამიანები“). ამავე პერიოდში დიდი წარმატება მოიპოვა აგრეთვე ლიტერატურულ ნაწარმოებთა ეკრანიზაციამ („მაგდანას ლურჯა“, „ბაში-აჩუკი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „ფატიმა“, „მამლუქი“), იზრდება საუკეთესო ნახატი და დოკუმენტური ფილმების რიცხვიც. სწორედ ამ პერიოდში მოვიდნენ ქართულ კინემატოგრაფიაში მწერლები: მ. ბარათაშვილი, ა. ბელიაშვილი, გ. მდივანი, რ. ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი და სხვები, რეჟისორები: რევაზ ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე, ლანა ღოღობერიძე, ლევან ხოტივარი, ნელი ნენოვა, გენო წულაია და სხვები, ოპერატორები. ლ. პაატაშვილი, გ. ჭელიძე, დ. მარგიევი, მსახიობები: ლ. ელიავა, ო. კობერიძე, დ. აბაშიძე, რ. ჩხიკვაძე, ლ. აბაშიძე, გ. ტყაბლაძე, ს. თაყაიშვილი და სხვები.

ქართულმა კინემატოგრაფიამ სახელოვანი გზა განვლო. კინოსტუდია „ქართული ფილმი“ დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ხოლო მის მიერ გამოშვებული ბევრი ფილმი პრიზირებულია როგორც საკავშირო, ასევე საერთაშორისო ფესტივალებზე.

უდიდესი წარმატება ხვდა წილად „თეთრ ქარავანს“ (ფილმის ავტორები—მ. ელიოზიშვილი, ე. შენგელაია და თ. მელიავა), მ. კობახიძის მოკლემეტრაჟიან ფილმს „ქორწილი“, და ბოლოს — მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალზე აღიარებულ რ. ჩხეიძის „ჯარისკაცის მამას“, რომელშიაც მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის მსახიობმა სერგო ზაქარიაძემ ოქროს მედალი მიიღო. აღნიშნულმა ფილმებმა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკრანები მოიარეს და დღესაც უდიდესი წარმატებითა და მოწონებით სარგებლობენ.

კიდევ უფრო პერსპექტულია კინოს ხვალინდელი დღე. ფართოვდება ეკრანის ჩარჩო, უფრო ღრმა და მოცულობითი ხდება იგი (სტერეოკინო). მაყურებელი სულ უფრო და უფრო უახლოვდება ეკრანს, რომლიდანაც ფართოდ იშლება მომხიბვლელი და შთამაგონებელი მშვენიერების სამყარო.





ცაცხვის ქერქისაგან საჭირო სიგრძის ჩხირი გამოსჭერი, დაარბილე იგი მდუღარე წყლის ორთქლში, შემდეგ კარგად გაამშრე და ერთი ბოლო ჩაქუჩით დაუქეჯე. მიიღებ შესანიშნავ ფუნჯს ხის წებოსათვის. ამიერიდან არ მოგიწევს გულისგამწვრილებული მუშაობა ფუნჯზე მიმხმარი წებოს მოსაფხეკად. მოაჭერი ჩხირს ნახმარი ბოლო და გადააგდე, წვერი კი ისევ დაუქეჯე.



როცა ნავი ჩქარა მიგყავს, შიგ წყალი ისხმება ნიჩბებიდან. რამდენი წვალება გიხდება ხოლმე მის ამოსახაპავად! ამ წვალებას გადარჩები, თუ ნავის ფსკერზე დაამაგრებ რეზინის წელას ერთ ბოლოს, ხოლო მეორე ბოლოს, რომელსაც ძაბრისებური თავი აქვს, ნავის გარეთ —წყალში ჩაუშვებ. წელა თვითონ ამოქაჩავს ნავში ჩაღვრილ წყალს.





თუ კარადის კარი თავისით და ხშირად იღება, საკმარისია, კარადის კედელს შიგნიდან მაგნიტი მიამაგრო, ხოლო კარს ფოლადის ფირფიტა მიაჭედო. ამიერიდან, კარადის კარი თავისით არ გაიღება.



ელექტრონათურას ერთი „საძაგელი ჩვეულება“ აქვს — გაცხელების შემდეგად მასრას მიედნობა ხოლმე და, როცა მისი ამოხრახვნაა საჭირო, სულ იმის შიშში ხარ, ცოკოლს კოლბი არ მოტეხო. სანამ ნათურას მასრაში ჩახრახნი, ცოკოლის ხრახნს რბილი ფანქარი წაუსვი —ნათურა თავის „საძაგელ ჩვეულებას“ სამუდამოდ მოიშლის.

ნუ გადააგდებ ჯიბის ფარნის ბატარეას იმის გამო, რომ მისი ძაბვა დაეცა. ამოიღე ბატარეა ფარნიდან და ქვით ან სხვა მყარი საგნით ორივე მხრიდან მაგრა შეჭეჭყე; შემდეგ ისევ ჩასვი თავის ადგილას და ჩართე ფარანი —რამდენიმე საათის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნები შუქით.

ვიქტორ გოლიავკინი

# ჩემი კეთილი მამა

ნახატები ავტორისა

(ნაწყვეტი წიგნიდან)



## მშვიდობით, მამა!

მე, დედა და ბობა აივანზე ვდგავართ.

ჩვენ სიბნელეს ვაკვირდებით, — ირგვლივ უკუნია — ქალაქში შუქშენიღბვაა. იქ, იმ სიბნელეში, მამაჩემია. ჩვენ გვესმის მისი ნაბიჯების ხმა და, მეჩვენება, რომ ვხედავ მამას, აი, მობრუნდა, ხელი დაგვიქნია...

ეს-ესაა გავიდა სახლიდან. ეს- ესაა გამოგვეთხოვა. სულ უფრო შორს მიდის, სიბნელისაკენ.

— მშვიდობით, მამი! — ვყვირი მე.

— მშვიდობით, მამი! — ყვირის ბობა.

მხოლოდ დედა არ იღებს ხმას, დგას ჩვენთან ერთად და დუმს.

მე სიბნელეს გავძახი:

— მშვიდობით!

ბობა ორივე ხელს იქნევს. კუნაპეტი ღამეა. იგი კი მაინც იქნევს და იქნევს ხელს, ჰგონია დაინახავს მამა.

...მამაჩემის ნაბიჯების ხმა აღარ ისმის. ალბათ კუთხეში შეუხვია.

მე და ბობა ვყვირით:

— მშვიდობით, მამა!

მამაჩემი ომში წავიდა.



## მამა შინ არ არის

დილიდანვე რეკავს ჩვენი ტელეფონი. მეკითხებიან: „წავიდა?" „გუშინ წავიდა-მეთქი", — ვპასუხობ. „ფრონტზე?" — „ფრონტზე-მეთქი", — ვეუბნები. „სამწუხაროა, გამომშვიდობება ვერ მოვასწარით" — მეუბნებიან.

მოულოდნელად წავიდა მამაჩემი, ვერავინ ვერ მოასწრო გამომშვიდობება. რეკავენ და რეკავენ. დედა შინ არაა. მე ვპასუხობ ყველას. „როგორ, — მეუბნებიან, — უკვე წავიდა?" — გუშინ წავიდა." „ფრონტზე?" — მეკითხებიან. — „ფრონტზე", — ვპასუხობ მე.

კვლავ ზარის ხმა.

— მამათქვენი შინაა? — მეკითხება ვიღაც.

— არა, წავიდა.

— როდის მოვა?

— მალე არ მოვა.

— სად წავიდა, ვერ იტყვით? თუ... საიდუმლოა!



— არა, საიდუმლო სულაც არაა, ომში წავიდა.

— რომელ ომში?

— როგორ, თქვენ არ იცით, რომ ომია?

— არაა ლამაზი!

— რა არ არის ლამაზი?

— რა და, რომ წავიდა.

— რატომ არაა ლამაზი?

— ჩემი ვალი აქვს, ის კი — ადგა და წავიდა.

— რა მართებს?

— რაღაც-რაღაცები მართებს.

აქ კი ძალიან დავიბენი, — არ ვიცოდი რა მეპასუხნა.

ისე გამოვიდა, თითქოს მამა ომში იმ კაცის ვალს გაექცა. ბრაზი მომივიდა.

— ვინ ლაპარაკობს? — შევეკითხე.

— რაო, წრიპავ, ვერ მიცანი? აბა, კარგად იყავი!

ვიცანი, — ძია გოშა იყო.

წინათ, როცა მეკითხებოდნენ — ვინ გიყვარსო, — მე ვპასუხობდი: „მამა, დედა და ძია გოშა".

ეს წინათ იყო.



## მე ვხედავ მამას

მე და ბობა მატარებელში ვზივართ. ჩვენ ბალაჯარაში, მამასთან მივდივართ.

ყველაფერი უცებ მოხდა, მოულოდნელად! — მამამ დარეკა. პირველად ვერ მივხვდი, რომ მამა იყო. დავუყვირე:

— რა გნებავთ-მეთქი.

მან მითხრა:

— მე პეტია მინდა.

მე ისევ ვიყვირე:

— პეტია გისმენთ!

მან მითხრა:

— მამაც გისმენთ!

მე ავღრიალდი:

— სადა ხარ, მამი?

მამა მეუბნება:

— ახლოს.

მე ვყვირი:

— ფრონტზე ხარ?

იგი იცინის:

— ჩვენ ჯერ ფრონტზე არა ვართ. ფრონტის გზას ვადგავართ. ჩვენი ეშელონი ჯერ ბალაჯარაშია. ცოტა ხნით აქ შევჩერდებით. როგორა ხართ? ყველაფერი რიგზეა?

— რასაკვირველია, — ვყვირი მე, — ყველაფერი რიგზეა!

ძაძა დედას უცდიდა. დედა კი არ გამოჩნდა. მაშინ მამამ თქვა: — ყველას გკოცნით. აბა თქვენ იცით, შენ და ბობამ დედას დაუჯერეთ, — და ყურმილი დაკიდა.

ესე იგი, მამა ახლოს ყოფილა, სულ ერთი სადგურის მოშორებით! იქ ალბათ ზარბაზნები და ტანკებია. ჯარისკაცებით სავსეა მთელი მატარებელი. მამა როცა მიდიოდა — სამხედრო არ იყო, მას თავისი ძველი ტანსაცმელი ეცვა, არც პისტოლეტი ჰქონდა და არც ჩაჩქანი ეხურა. ახლა კი, ალბათ, ჩაჩქანი ახურავს და პისტოლეტიც ჰკიდია. ნეტავი დამანახა!..

მამა ახლა ბალაჯარაშია. სულ ორიოდე ნაბიჯზე! ბობას ვეუბნები:

— შეგიძლია წყნარად იჯდე?

— როგორ ვიჯდე? — მეკითხება ბობა.

— ისე, ხელი რომ არ ახლო რამეს.

— რას არ უნდა ვახლო?

— რას და... არაფერს. უნდა იჯდე შენთვის. შეგიძლია თუ არა? — ვეუბნები მე.

— რატომ? — ამბობს ბობა.

— მე მამასთან მივდივარ!

— მეც მინდა მამასთან. — ყვირის ბობა.

— მაშინ, ჩქარა, მოემზადე! — ვეუბნები მე.

...და აი, მე და ბობა მატარებელში ვზივართ.

ყულაბები გავტეხეთ — მისი ყურშა და ჩემი ფისო. იცოცხლე, ამის გამო მოგვხვდება. სამაგიეროდ — ბილეთები ვიყიდეთ, ნამდვილი ბილეთებით ვმგზავრობთ, როგორც ნამდვილი მგზავრები. სულაც არ გვენანება ყულაბები.

მატარებელი ძალიან ნელა მიდის. ძლივს მიღოღავს... ჩქარა, თორემ მამა არ დაგველოდება, გაჰყვება ჯარს...

ბობას სძინავს. ეძინოს...

რა კარგია, მამასთან რომ მივდივართ! ალბათ, გაუკვირდება, გვეტყვის: „როგორ გაჩნდით აქ“? მე ვუპასუხებ: — „მე პატარა აღარა ვარ, — შენ თვითონ არ მითხარი?! ჰოდა, რა მოხდა?“ მამამ, როცა მიემგზავრებოდა, მითხრა, — შენ უკვე საკმაოდ დიდი ხარო, რადგანაც ომია და რადგანაც შენ ახლა უფროსი ხარო. მაშ, რატომ უნდა გაგვიწყრნენ?! თუმცა, ახლა რა, უკვე მივედით და ეგ არი...

მამაზე დავიწყე ფიქრი. მომაგონდა — როგორ ხატავდა მამა ომს: ჯარისკაცები ომში მიდიან, ზარბაზნები ისვრიან, გარშემო დახოცილები ყრია. ყველა ჯარისკაცს დიდი ჩაჩქანი ახურავს, დიდზე-დიდი, მწვანე ჩაჩქანი, მაგრამ მათ მაინც ხოცავენ! მამამ ამ სურათს „ბატალია“ დაარქვა.

დიდხანს ვფიქრობდი ამაზე.

როგორ შემიძლია, არ ვიფიქრო. მე ყოველთვის რაღაცას ვფიქრობ. მართა-



ლია, ხანდახან ისეთი სისულელე მომდის თავში, რომ თვითონვე მიკვირს. საერთოდ, ფიქრიანი კაცი ვარ. მხოლოდ მაშინ არ ვფიქრობ, როცა ფეხბურთს ვთამაშობ, წყალში ვხტები ან ვმღერი. მაშინ მე, უბრალოდ, ვხტები წყალში, ვმღერი ჩემთვის და ვთამაშობ ბურთს. ახლა კი განუწყვეტლივ ვფიქრობ. ამასობაში ბობას გაეღვიძა.

— ეს რა ამბავია, სად მივდივართ? — იკითხა მან.

— მამასთან მივდივართ, — ვუპასუხე მე.

— მერე, სადაა მამა?

— ბალაჯარაში მივდივართ.

— არ დავიძინებ, მინდა ვნახო როგორ მივუახლოვდებით სადგურს. მამას ფანჯრიდან დავინახავ...

მატარებელი ისე ქანაობს, დაგეძინება კაცს, აბა რა იქნება! მაგრამ ახლა დაძინება არ შეიძლება. ბალაჯარას რომ გავცდე?! შორს კი არაა — პირველი სადგურია.

...ეგერ, კუთხეში კაცს სძინავს. გვერდზე კალათები უდგია. ნეტა შიგ რა იქნება-მეთქი, — გავიფიქრე. ახლა ისეთი დროა, პროდუქტებს აგროვებს ყველა. ეზიდებიან და ეზიდებიან, რაც შეხვდებათ. კალათში შეიძლება იყოს: ინდაურები, საპონი, შაქარი, ბატები, ქათმები, იხვები, კურდღლები და გოჭები (თუმცა, შეიძლება ისინი კალათში ვერ მოთავსდნენ), მურაბა, ნამცხვარი, ვაშლი, მსხალი, კამფეტები, ძეხვი, ხახვი, კიტრი, ქაშაყი.

...მომწყინდა ფიქრი. აბა, საიდან უნდა მივხვდე, რა იქნება ამ კალათებში?!

მატარებელი ბალაჯარას მიუახლოვდა. ბობა გავაღვიძე და ჩავედით. აუ, რამდენი ლიანდაგია! ქშენა, სტვენა... სადღაც გარმონზე უკრავენ.

მე და ბობა გრძელი შემადგენლობის გასწვრივ მივდივართ. ყველა ვაგონში სამხედროებია. ძნელია აქ მამაჩემის პოვნა.

მალე, სამხედროები შემოგვეხვივნენ, ერთმა ძეხვის ნაჭერი მოგვცა. შესანიშნავი ძეხვი იყო! ისეთი ძეხვი არასოდეს მიჭამია. ნამდვილი სამხედრო ძეხვი იყო. უცებ შევჭამეთ. წასვლა დავაპირეთ. ამ დროს ორთქლმავალმა დაიკივლა, ჯარისკაცებმა ვაგონებში ჩასხდომა დაიწყეს. მატარებელი დაიძრა და წავიდა, ჯერ ნელა, მერე სულ უფრო ჩქარა და ჩქარა...

ამ დროს მე მამა დავინახე...

სინდისს გეფიცებით, მამა იყო! სამხედრო ფორმა ეცვა, პილოტურა ეხურა. ბობას არ დაუნახავს, მე კი დავინახე მამაჩემი ვაგონის კიბეზე იდგა. მგონი შეგვამჩნია, მგონი დაგვიყვირა კიდეც რაღაც, მაგრამ მე ვერ გავარჩიე, რა დაგვიძახა. ვაგონმა ჩაგვიქროლა. ხელს გვიქნევდა. ვაგონებს გავეკიდეთ, მაგრამ მატარებელი უკვე მთელი სიჩქარით მიდიოდა.



## უკან, შინისაკენ

უკან ფეხით ვბრუნდებოდით. დარწმუნებული ვიყავი: ასე უფრო მალე მივიდოდით სახლში. ვმღეროდი: „მზე ნათელია, ჩვენი ცხოვრებაც არის ნათელი!“ მერე ბობა ზურგზე მოვიკიდე.

ვერ შევძელი მისი დიდხანს თრევა და ქვაზე ჩამოვჯექით. გარშემო ყვითელი სტეპი იყო. მზეს მთლად გადაეტრუსა ბალახი. მიჰქროდნენ მანქანები. ტანკმაც გაიარა.

ბობამ ღრიალი მორთო.

— მამა მიდის! აგერ, მამა მიდის!

მას მოეჩვენა, რომ ტანკში მამა იჯდა. რატომ მოეჩვენა, არ ვიცი. ისე ღრიალებდა, ვიფიქრე: არ გასკდეს-მეთქი. უნდოდა ტანკს გაჰკიდებოდა. რომ გენახათ, როგორ ღრიალებდა, — საბარ-

გო მანქანებიც კი გაჩერდნენ. შოფერმა გვკითხა:

— რა ამბავი გაქვთ, ბავშვებო?

— ჩვენ შინ მივდივართ, — ვუპასუხე.

— ამ ცეროდენას რაღა აყვირებს?

— მამაჩვენმა ტანკით გაიარა, — თქვა ბობამ.

— ტყუის, ტანკით კი არა, ვაგონით წავიდა. — ვთქვი მე.

შოფერმა თქვა:

— გასაგებია, თუმცა... ჰო, კარგი — აბა, — ჩაჯექით, წავიდეთ.

—ესე იგი, თქვენ აქ მარტონი ხართ, ხომ? — ამბობს შოფერი.

— ჩვენ მამასთან ვიყავით გასაცილებლად, — ვუპასუხე მე.

— ოჰო, უყურე შენ? დედა სადღაა? — თქვა შოფერმა.

— დედა შინაა, ჩვენ ჩვენით წამოვედით.

— უყურე ამათ! — ამბობს შოფერი.

— მამაჩვენი წითელი არმიის კაპიტანია, — ვეუბნები მე.

— კარგი და პატიოსანი, — თქვა შოფერმა.

— იგი ჩაპაევთან ერთად იბრძოდა. — ვუთხარი მე.

— მართლა?! — გაიკვირვა შოფერმა.

— სინდისს გეფიცებით. ჩაპაევთან



ერთად ომობდა, მერე ჩაპაევი მოკლეს...

— რაო? მართლა ჩაპაევის გვერდით იბრძოდა?

— აბა რა გეგონათ? მარტო ხომ არ იბრძოლებდა?

— საინტერესოა, — ამბობს შოფერი.

მას ძალიან მოეწონა, რომ მამაჩემი ჩაპაევთან იბრძოდა, თუმცა, ცოტა არ იყოს, არა სჯეროდა.

— რა, არა გჯერათ? — ვეუბნები მე, — ტყუილად არა გჯერათ! ამას გარდა მამა მეზღვაურიც იყო. მამა მიხატავდა ხოლმე გემს. შესანიშნავი გემი იყო! ათასი იალქანი ჰქონდა! აი, ამხელა, უზარმაზარი ანძები ჰქონდა და გრძელი, გრძელი კიჩო... მაგრამ ეს ძველად იყო...

— უყურე შენ! — ამბობს შოფერი...

— საერთოდ კი, მამაჩემი სამხედრო კაცი არაა. არც მეზღვაურია. წინათ იყო მეზღვაური. ახლა მამაჩემი მუსიკოსია, მუსიკასაც კი წერს. ცოტა ვერ გამოუდის, მაგრამ მაინც წერს. დედა ეუბნება: — რადგან არ გამოდის, არ ღირს წერაო. — თქვენ? თქვენ როგორღა ფიქრობთ, ღირს?

— რას იტყუები, — მეუბნება შოფერი, — პატარა ხარ და ტყუილი კი უზარმაზარი გცოდნია. გემიო, ჩაპაევიო, ახლა მუსიკა მოიგონე...

— რას ეზიდებით? — ჰკითხა ბობამ.

— სილას. — თქვა შოფერმა.

ბობამ დაუწყო გამოკითხვა: რა სილააო, არის თუ არა შიგ ნიჟარებიო, სად მიგაქვთო...

შოფერი ხუმრობით პასუხობდა და ბობა ძალიან კმაყოფილი იყო.

— ძარაზე მინდა ასვლა, — თქვა ბობამ ბოლოს, — თქვენ ასე იმგზავრეთ, მე კი, გეხვეწებით, დამსვით ძარაზე.

მას, ცხადია, ამის ნება არ მისცეს და მთელი გზა გაბერილი იყო. შოფერმა სახლამდე მიგვიყვანა, მე და ბობას ხელი ჩამოგვართვა და ჩვენ შინისაკენ მოვკურცხლეთ.

აუ, რა ამბავი იყო. დედა გაფითრებული იჯდა. იჯდა და ტიროდა. ამ დროს შევედით.

დ ე დ ა: სად იყავით?

მ ე: მამასთან. იქ ძეხვი გვაჭამეს.

დ ე დ ა: რა ძეხვი?

ბ ო ბ ა: გულ-ღვიძლის ძეხვი.

მ ე: ჰო, გულ-ღვიძლის ძეხვი გვაჭამეს.

დ ე დ ა: ვინ გაჭამათ.

მ ე: ჩვენ მამასთან ვიყავით...

დ ე დ ა: როგორ?!

მ ე: მატარებლით.

დ ე დ ა: ღმერთო ჩემო!

მ ე: იქიდან ფეხით მოვდივართ...

დ ე დ ა: (ყვირის) საიდან მოდიხართ ფეხით?

მ ე: ბალაჯარადან!

დ ე დ ა: ბალაჯარადან?

მ ე: მე მამა ვნახე.

ბ ო ბ ა: მე ტანკი ვნახე.

დედა წყალს ითხოვს — გული უწუხს. სამზარეულოში გავრბივარ წყლის მოსატანად.



## კინოში

მთელი დღე სილაში ვიქექებოდით. მომწყინდა სილაში თამაში, მაგრამ რა უნდა ვქნათ? ეზოს გარეთ ფეხს არ გვადგმევინებენ, — ეს იმიტომ, რომ მამასთან ჩვენით წავედით...

მთლად დათხვრილები ვიყავით და დედა გაგვიწყრა.

— ნუთუ არ შეიძლება, — ამბობდა იგი, — ისე ითამაშოთ, რომ არ დაისვაროთ, წესიერი, კულტურული ბავშვების იერი გქონდეთ? მით უმეტეს, რომ მამა ომშია!

ასეთი ლაპარაკი აღარ გვაინტერესებდა. ათასჯერ მოგვისმენია. „მართალია, ომია და მამა ომშია, მაგრამ რატომ არ შეიძლება მთელი დღე სილაში ვითამაშოთ?“ — ვფიქრობდი მე.

დედა კი განაგრძობდა:

— ეს პატარაა და გასაგებია, მაგრამ შენ რა იპოვე მაგ სილაში?

ბოლოს თქვა:

— იცით რა, ფულს მოგცემთ და კინოში წადით.



ეს უკვე სულ სხვა ამბავი იყო. მე და ბობამ იმ წამსვე კინოში მოვკურცხლეთ. პირველ რიგში დავჯექით. მე მიყვარს

პირველ რიგში ჯდომა. აბა, უკანასკნელზე ხომ არ დავჯდები.

ჯერ ჟურნალი აჩვენეს. ომზე იყო — სროლა, აფეთქება, — ერთი სიტყვით, ნამდვილი ომი იყო.

აჩვენეს წითელი ცხენოსნები.

აჩვენეს, როგორ იწვოდა ქალაქი.

აჩვენეს მეომრები მიწურებში.

და უცებ, ამას რას ვხედავ, — მამა!

პირველად ვერც კი ვიცანი, რუკაზე იყო დახრილი, გვერდით სამხედროები ედგნენ, ყველანი რუკას დასცქეროდნენ, მერე მამა შემობრუნდა, მე შემომხედა და იმ წამსვე ვიცანი. ვიცანი და მთელი ხმით დავიყვირე:

— მამა!

გარშემო აჩურჩულდნენ: „წყნარად, ნუ გვიშლით! რის მამა, რა მამა!“ — თქვა ერთმა. მეორე შეეპასუხა: „რატომაც არა. ტყუილად ცხარობთ, მოქალაქენო: შეიძლება მართლაც მამა ნახა. შეიძლება მამამისი კინომსახიობია“. მაგრამ ამ დროს კვლავ აყვირდნენ: „რა სისულელეებს ლაპარაკობთ, რა მსახიობი, რისი მსახიობი, ეს ხომ კინოჟურნალია, არავითარი მსახიობები აქ არ არიან“. მაშინ მეორე ძიამ თქვა: „შეიძლება პირიქით იყოს, შეიძლება ბიჭმა ნამდვილი, მებრძოლი მამა ნახა და არა — კინომსახიობი, როგორც მე მეგონა პირველად“. ისევ ახმაურდნენ; „მორჩით, რა ამბავია, სადაა დირექტორი...“

სიჩუმე ჩამოვარდა.

მე თვალებად ვიქეცი, ეგებ მამა კვლავ გამოჩნდეს-მეთქი. მაგრამ მეტი არ უჩვენებიათ. მერე ჟურნალი დამთავრდა, შუქი აანთეს. იმ ძიამ, რომელიც მე გამომექომაგა, მკითხა:

— შენ მართლა დაინახე მამა?

— კი, დავინახე, —ვუთხარი მე.

— საინტერესოა, —თქვა მან, —საყურადღებო შემთხვევაა, ნამდვილად იშვიათი შემთხვევაა. შვილი მამას კინოში ხედავს! მამა კი ფრონტზეა. არა, ეს იშვიათი ამბავია, ამხანაგებო! შენ, შვილო, იცი რა ჰქენი—სურათი რომ დამთავრდება, ისევ დარჩი. კვლავ ნახე მამაშენი. მე კი მათ ავუხსნი — რაშიცაა საქმე.

მე და ბობა, ცხადია, დავრჩით..

მერე, დედასთან ერთად, ჩვენ კიდევ ვნახეთ ის სურათი. მამაჩემისაგან წერილები არ მოდიოდა და ჩვენ ძალზე ვდარდობდით.

ერთხელ კინოსთან ჩავიარე. კონტროლიორმა დამიძახა.

— მაპატიე, ბიჭუნა,—მითხრა მან,— მამაშენი ხომ არ იყო?..

— კი, კი, კი, —ვიყვირე მე, —მამაჩემი, მამაჩემი იყო, —უმალ მივხვდი, რაზედაც მეუბნებოდა.

— აბა, იცი რა გითხრა? —თქვა მან, —ჩემო კარგო, დღისით, ღამით, როცა გინდოდეს —ყოველთვის მოდი!— და მან დარბაზისაკენ გაიშვირა ხელი.

მას შემდეგ ყოველდღე დავდიოდი კინოში. ყოველდღე ვუცქერდი მამას. მამას მარტო მე კი არა, მთელი ჩვენი ქუჩის ბავშვები ნახულობდნენ...

— სხვებიც მოიყვანე, —მეუბნებოდა კონტროლიორი, — ყველას დაუძახე, უყურონ!

შესანიშნავი კონტროლიორი იყო!




## მამები და ჩვენ

მე უკვე მეხუთე კლასში ვარ. ახლა ჩვენ ახალი მასწავლებელი გვყავს. იგი მელოტია, თანაც ქოსა.

ჩვენ ვზივართ და პალ პალიჩს ვუყურებთ. ის კლასში დადის და გველაპარაკება:

...—ასე და ამგვარად, ბავშვებო, მიმდინარეობს ომი. ჩვენი მეომრები ფრონტზე იბრძვიან, მუშები და ინტელიგენცია ფრონტს ეხმარებიან. თქვენი მამები იარაღით ხელში ებრძვიან მტერს იმისათვის, რომ თქვენ საშუალება გქონდეთ, აი, ასე იჯდეთ აქ, როგორც ახლა ზიხართ, და ისწავლოთ! რა მოგეთხოვებათ თქვენ ამ დროს? თქვენ მოგეთხოვებათ შეითვისოთ ჩემგან ის ცოდნა, რომელიც დამიგროვებია ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე. ჯერჯერობით მხოლოდ ეს მოგეთხოვებათ. მე რა მომეთხოვება? მე, ცხადია, მომეთხოვება გადმოგცეთ თქვენ ის ცოდნა, რომელიც მე მაქვს. მგონი, გამიგეთ. მე ვფიქრობ, ჩვენ შევქმნით ისეთ სამუშაო პირობებს, რომელიც ამ საქმეს სჭირდება. თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენი მამები, თქვენი უფროსი ძმები აკავებენ დამპყრობთა აურაცხელ ურდოებს, რომლებიც აქეთ, ჩვენი ქალაქისაკენ მოიწევენ. თქვენი ფრონტი აქაა, ზურგში. ეს მერხები თქვენი პოზიციებია და, არა მანჭვა-გრეხით და ზარმაცობით, არამედ მხოლოდ სწავლით მიაღწევთ წარმატებას. ამით თქვენ დაეხმარებით ფრონტს, თქვენს მამებს და




უფროს ძმებს. თქვენ უნდა გრძნობდეთ ამ პასუხისმგებლობას. თქვენი მტრები მარტო ჰიტლერელები კი არ არიან, რომლებიც თქვენს დამონებას ცდილობენ, თქვენი მტრებია: სიზარმაცე, მანჭვაგრეხა, უპასუხისმგებლობა, უპრინციპობა, უნებისყოფობა, დაუდევრობა და... ასე შემდეგ. ეს უნდა გახსოვდეთ.

პალ პალიჩი ფანჯარას მიადგა.

— რა ვხედავ მე იქ?—გვკითხა მან.

ჩვენ ფანჯარაში გავიხედეთ, მაგრამ იქ ვერაფერი განსაკუთრებული ვერ დავინახეთ.

— მე იქ ჩემს მიწა-წყალს ვხედავ. თქვენი მამები უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძვიან ამ მიწა-წყლისათვის. თქვენი მამები თქვენგან საჩუქრად არ იმსახურებენ ორიანებსა და ერთიანებს. მე იმედი მაქვს... მე მინდა მჯეროდეს, რომ ეს ჩვენს პრაქტიკაში იშვიათი შემთხვევა იქნება. მქონდეს იმედი?!

— გქონდეთ!—ავყვირდით ჩვენ .

— ძალიან კარგი, —თქვა მან, — დავიწყოთ გაკვეთილი!..




## ორიანი

ორიანი მაინც მივიღე, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე მოვინდომე — სულ სიტყვა-სიტყვით გადავიწერე მიშკასაგან.

ორიანი წინათაც მიმიღია, მაგრამ ეს წინათ იყო, ახლა კი სხვაა. მამაჩემისაგან დიდი ხანია წერილი არ მიგვიღია.

რაც წავიდა, იმ დღიდან მე სულ იმას ვფიქრობდი: მოვა წერილი, მამა იკითხავს, —რას შვრება პეტია, როგორ სწავლობსო. — რა ვუპასუხო?

საჭირო იყო ორიანის გამოსწორება. მეტი აღარ შემეძლო —გადავწყვიტე, ყოველივე პალ პალიჩისთვის ამეხსნა.

— ჰოო, —თქვა მან. —შვიდი შეცდომა მოკლე შინაარსში? თუმცა, გამოსავალი მაინც არის: წაიღე ეს წიგნი შინ, წაიკითხე ეს მოთხრობა ერთი-ორჯერ, მაგრამ, იცოდე, მეტჯერ არა. მერე დახურე წიგნი და დაწერე, მაგრამ ეცადე —შიგ არ ჩაიხედო, გაიგე?

— მერე, ვინ მადევნებს თვალს, ჩავიხედავ თუ არა? —ვთქვი მე.

— არავინ არ გადევნებს. არც ისეთი პატარა ხარ. უკვე დიდი ბიჭი ხარ. რად გჭირდება თვალის დევნება!

— აბა, ისე რანაირად? —გავვოცდი მე, —ისე ხომ ჩავიხედავ.

— არა მგონია, —თქვა მან.

— რატომ?

— შენს სინდისზე იყოს.

— აი, ეს მესმის, —გავიოცე მე.

— მე მჯერა შენი, —თქვა პალ პალიჩმა, —მე გენდობი შენ, —მორჩა და გათავდა!

— ეს ასეა, —ვთქვი მე, —მაგრამ ვინ დაიჯერებს ამას?




ალბათ ძალიან დაბნეული ვიყავი. ჩემი თავი არასდროს არ მინახავს ასეთი. საოცარი ამბავი იყო სწორედ!

მოთხრობა მართლაც ორჯერ წავიკითხე. მეტჯერ წიგნი არ გადამიშლია. თუმცა, ძალიან კი მინდოდა. გაჭირვებით ვწერდი. ო, როგორ მინდოდა მოთხრობაში ჩახედვა! კლასშიც კი უფრო იოლად ვწერდი ხოლმე. იქ პალ პალიჩს მაინც შევეკითხებოდი. იქ მეზობლისაგანაც შეიძლებოდა გადაწერა. აქ კი, ყველაფერი სინდისზე იყო დამოკიდებული.

ყველაფერი ისე დავწერე, როგორც დამამახსოვრდა. პალ პალიჩმა წაიკითხა და თქვა:

— როგორც ვხედავ, შენ პატიოსანი კაცი ყოფილხარ, ასევე მისწერე მამაშენს...

— ორიანს რაღა ეშველება?

— ეს არ არის მთავარი. შეგიძლია იგულისხმო, რომ ორიანი გამოსწორებულია.

— მერედა, საიდან იცით, — ვკითხე მე, —პატიოსანი ვარ თუ არა?

— იმ წამსვე მივხვდი, —თქვა პალ პალიჩმა, —შენი ნაწერიდან ჩანს.




## ბეთჰოვენი! ბახი! მოცარტი!

— პირდაპირ საოცარია, რომ არაფერი არ გვაქვს გასაყიდი, —ამბობს დედა. —როგორ შეიძლება ასე ცხოვრება! ომია, ჩვენ კი არაფერი გვაქვს გასაყიდი, ყოველ წესიერ ოჯახს, ომიანობის ან სხვა უბედური შემთხვევისათვის, რაიმე აქვს გასაყიდი. ჩვენ კი როიალისა და ნოტების გარდა არაფერი მოგვეძევება... ყველაფერი ძვირდება, ფული კი სადაა? სად უნდა იშოვო? მამათქვენია დამნაშავე, დაუდევარი კაცი იყო. რიზაევებს სერვიზები აქვთ, ხოლო დობრუშკინებს რაღა არა აქვთ! ყველას აქვს რაიმე გასაყიდი. ვალოდიას არ შეეძლო ისე ეცხოვრა, როგორც ჭკვიანი ადამიანები ცხოვრობენ. ყოველ ოჯახს, რომელიც თავის თავს პატივს სცემს, აქვს რაიმე გასაყიდი, ომისა ან სხვა უბედური შემთხვევისათვის...

მე სულ ჭამა მინდა. ახლა ხმელა პურის დიდ ნაჭერსაც შევჭამდი.

ბაზარში შეიძლება პურის ყიდვა, მაგრამ ძალიან ძვირი ღირს. ბობა ტირის, როცა პური არ არის, და მაშინ ჩვენ ბაზარში მივდივართ. იქ მუდამ მტვრის ბუღი დგას, მზე აცხუნებს და ყურისწამღები ყაყანია.

მე და დედა ვფენთ ფარდაგს, ფარდაგზე ვაწყობთ მამისეულ ნოტებს, და დედა გაჰყვირის:

— ბეთჰოვენი, ბახი! მოცარტი!

სამივენი ფარდაგზე ვზივართ.



— კლემენტი, კლემენტი! —ვღრიალებ მე.

ახლა აღარ ვუკრავ კლემენტის. ახლა, საერთოდ, აღარაფერს აღარ ვუკრავ. მამა რომ წავიდა, ცოტა ხანს კიდევ ვუკრავდი, მაგრამ თანდათან ვუკელი. მართალია, დედა მიწყრებოდა, მაგრამ მერე მომეშვა, მობეზრდა იმდენი ჩხუბი. დედას როიალის გაყიდვა უნდა. მაშინ ეს ნოტები რაღად გვინდა? სულ ერთია, დედა მაინც გაყიდის როიალს.

— ბეთჰოვენი! ბახი! მოცარტი!

ბაზარში აუტანელი ჯგვლემაა. მაგრამ ჩვენ კარგად ვართ მოწყობილი. ადრე მივედით და მაშინვე გავშალეთ ჩვენი ფარდაგი. ვინც ადრე მოვიდა, ყველამ გაშალა ფარდაგი. ხშირად ჩვენს ფარდაგს ფეხს ადგამენ, მაშინ მე ვყვირი:

— ფრთხილად!

კარგად ვართ მოწყობილი, თორემ სინჯე ერთი, მთელი დღე ფეხზე დგომა!

— კლემენტი! კლემენტი!
— შაქარი! შაქარი!
— კოფთა! კოფთა!
— ღვეზელი! ღვეზელი!
— ბეთჰოვენი! ბახი! მოცარტი!
— ინგლისური ნაჭრისაგან შეკერილი ნამდვილი ამერიკული შარვალი!
— უცვეთავი პერანგი! პერანგი!
— ასს მისცემ —ხუთასს მოიგებ!
— კლემენტი! კლემენტი!
— ბეთჰოვენი! ბახი! მოცარტი!

თარგმნა ზურაბ ლეშკაშელმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიკო ფიროსმანი

ნიკო ფიროსმანაშვილი ქართული ფერწერის სიამაყე, მსოფლიოში აღიარებული გენიალური მხატვარია, რომლის შემოქმედება მჭიდროდაა გადაწნული საკუთარ ბიოგრაფიასთან. ხოლო ფიროსმანაშვილის ბიოგრაფია — ეს არის ერთი მღელვარე პოემა სიყვარულზე, სილატაკესა და ტანჯვაზე, შემოქმედებით წვაზე...

ნიკო ფიროსმანაშვილი დაიბადა 1862 წლის 5 მაისს, კახეთში, სოფელ მირზაანში, მებაღის ოჯახში. რვა წლისა იყო ნიკო, როცა ჯერ მამა, ხოლო შემდეგ — დედა გარდაეცვალა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ბავშვებმა — ნიკომ და მისმა ორმა დამ მშობლიური კუთხე მიატოვეს და თბილისში ჩამოვიდნენ ბედის საძიებლად. აქ ისინი სხვადასხვა ოჯახებში მუშაობდნენ მოსამსახურეებად. რამდენიმე წლის შემდეგ, უფროსი და მარიამი მოულოდნელად ავად გახდა და მოკვდა. ნიკოსა და მისი დის — ფეფუცასათვის კიდევ უფრო უცხო გახდა ქალაქი, და ისინი თავიანთ ძველ სახლს დაუბრუნდნენ მირზაანში. და მეურნეობის აღდგენას შეუდგა, ხოლო თოთხმეტი წლის ნიკო სოფლის მწყემსად დადგა. მაგრამ სწავლასმოწყურებულ ყმაწვილს სოფელში დიდხანს არ დაუდგა გული და მან კვლავ თბილისს მოაშურა, სადაც ერთ ხანს ნათესავებთან მუშაობდა. 28 წლის ვაჟკაცი გაჭირვებამ აიძულა საბარგო მატარებლებზე ღია პლატფორმების კონდუქტორად დაეწყო მუშაობა. ქარსა და ავდარში მუშაობამ ნიკო დაავადმყოფა და იგი ჯანგატეხილი დაბრუნდა თბილისში. მოყვარულმა მეგობრებმა ფული შეუგროვეს. ამ ფულით ფიროსმანაშვილმა დუქანი დაიქირავა და დაიწყო რძის ნაწარმით ვაჭრობა. რამდენიმე დღეში მან ისე ლამაზად მოხატა დუქნის ძველი კედლები, რომ ყველა აღტაცებაში მოიყვანა.

ნიკოს თითქოს გაუღიმა ბედმა. მისი ქონებრივი მდგომარეობა გაუმჯობესდა. მაგრამ მომავალი მხატვარი სულ სხვა ცხოვრებაზე ოცნებობდა. მას უფრო მეტი და მეტი ძალით იზიდავდა ფუნჯი და საღებავები, უფრო და უფრო იპყრობდა სურვილი — დაეხატა მის გარშემო მყოფი ადამიანები, ტილოზე გადაეტანა საქართველოს პეიზაჟი, შეექმნა სურათები, რომელთა კომპოზიციებს, სახეებს გონების თვალით უკვე ხედავდა. იგი ირონიით უყურებდა თავის ვაჭრობას, მედუქნის პროფესია მისთვის შემთხვევითი და უცხო იყო.

ხატვა და ფერწერა ნიკო ფიროსმანაშვილისათვის თავდაპირველად მხოლოდ გართობას წარმოადგენდა, მაგრამ შემდეგში ისინი მისთვის მოთხოვნილებად იქცნენ. დამწყებმა მხატვარმა ჯერ მორიდებულად, მერე კი თამამად იწყო ხატვა მუყაოზე. გავიდა მცირე ხანი და ფიროსმანმა (ამ გვარს აწერდა იგი თავის ნახატებს) სამუდამოდ მიატოვა ვაჭართა წრე და იგი თბილისის გარეუბნების ყველაზე ღატაკ მკვიდრთა შორის აღმოჩნდა. ამიერიდან მისი მწარე ცხოვრების მიზნად, მის ნუგეშად და პროფესიად მხატვრობა იქცა. ნახატებს ნიკო ფიროსმანისთვის თითო-ოროლა გროშილა მოჰქონდათ და გენიოსმა მხატვარმა თავისი სიცოცხლის ბოლო წლები ისე გაატარა, რომ არ ღირსებია მუდმივი თავშესაფარი, დაეხეტებოდა დუქნიდან დუქანში, ცხოვრობდა აივნებზე, სარდაფებში, სხვადასხვა ჯურღმულებში და, თითქმის ყველასაგან მივიწყებული, არაადამიანურ პირობებში გარდაიცვალა 1918 წელს.

ქალაქის გარეუბნებში მცხოვრებთ უყვარდათ „ჩვენი მღებავი ნიკალა“ და მისი ნახატები. იგი იყო უბრალო და ღარიბი ადამიანი, ისეთივე ღატაკი, როგორც მის გარშემო მყოფნი. ეს უკანასკნელნიც უსაზღვრო პატივს სცემდნენ „თავიანთ“ მხატვარს. ამავე დროს, დიდ ქალაქს არ სურდა ეღიარებინა ვიღაც „მოხეტიალე“ მღებავი-ფერმწერი. იგი უცხო იყო თბილისის ბურჟუაზიული უბნების მკვიდრთათვის.

ნიკო ფიროსმანი განზე როდი იდგა თავისუფლებისათვის მებრძოლთა მოძრაობისაგან; მან აქტიური მონაწილეობა მიიღო მაისობაში მლაშე ტბის მიდამოებში და საპირველმაისო დემონსტრაციაში 1901 წელს. 1905 წლის რევოლუციის შთაბეჭდილებებით შეიქმნა მისი ორი სურათი — „დემონსტრაცია“ და „არსენა ჯორჯიაშვილი“.

ნიკო ფიროსმანის შემოქმედებას სხვადასხვა წყაროები ასაზრდოებდნენ, მაგრამ ყველა ისინი მშობელი მიწის — ქართული მიწის წიაღიდან ამოჩქეფდნენ.

თბილის-ქალაქმა, მისმა ბუნებამ, არქიტექტურამ, ხალხურმა შემოქმედებამ, პოეტებმა და მომღერლებმა, მუსიკამ და ფერწერამ, ზნე-ჩვეულებებმა გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს მხატვრის შემოქმედებითი სახის ჩამოყალიბებაზე. ფიროსმანის შემოქმედებაში შესამჩნევი კვალი დატოვა ქართულმა ფრესკამ, აგრეთვე — კახეთის ბუნებამ და ადამიანებმა.

ძველი თბილისის თემას არა ერთი ბრწყინვალე ნაწარმოები მიუძღვნა ფიროსმანმა, მათ შორის — „აქლემი გამყოლით“, „ირანული ლომი“, „მეიდანელი ქალი“. მხატვრის ოსტატობა ვლინდება სურათში „მებადური კლდეებს შორის“, რომელიც მუშამბაზეა შესრულებული (ნ. ფიროსმანი ძირითადად შავ მუშამბაზე ხატავდა). აღტაცებას იწვევს ნახატის კომპოზიცია, ფერთა ჰარმონიული ურთიერთშეხამება.

ფიროსმანის ნაწარმოებებში ბევრჯერ გაისმოდა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტის ხმა. მდიდართადმი მხატვრის დიდ სიძულვილზე მეტყველებს სურათი „უშვილო მილიონერი და ბავშვებიანი ღარიბი ქალი“. მილიონერის გამომეტყველება თითქოს აშკარად ამბობს: „გააჩინა შვილები, მაგრამ მათი ჩასაცმელ-დასახური და საჭმელი კი არა აქვს. ჩვენ ყველაფერი გვაქვს, უზრუნველყოფილი ვართ ყველაფრით, ხოლო ამ უბედურებს არც ჩვენ და არც სხვები ერთ გროშსაც არ მივცემთ“.



ნიკო ფიროსმანი
ნახატი ლადო გუდიაშვილისა

პროტესტის ხმა ჟღერს სხვა სურათებშიც: „ვირზე შემჯდარი მღვდელი“, „არწივი და კურდღელი“, „დაჭრილი ჯარისკაცი“...

სულიერი სიწმინდით, ჰუმანიზმით, ადამიანისადმი სიყვარულით და სიბრალულითაა გამთბარი ნახატები, სადაც გამოსახული არიან ქალები, კერძოდ, ღლეხი ქალები, ბავშვებიანი დედები, და ბოლოს, „ორთაჭალის ტურფები“.

1911 წელს ფიროსმანმა შექმნა „ეირაფი“, — ნაწარმოები, რომელმაც არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა მნახველებზე. „ჟირაფს“ მოჰყვა საყოველთაოდ ცნობილი „მეეზოვე“. თითქმის „ერთი ამოსუნთქვით“ დახატა მხატვარმა შომდევნო სურათებში მზარეულის, მეარღნის, კინტოს ტიპები. საერთოდ, ფიროსმანის ნახატებიდან ხშირად ისმის სიმღერის, სტვირის, სალამურის, ჩანგის, ჭიანურისა და სხვა საკრავთა ხმები.

ნიკო ფიროსმანი ხშირად იგონებდა თავის ბავშვობას, ობლობას, ამიტომაც დიდი სიყვარულით ხატავდა შავთვალწარბა, საზრიან, მხიარულ ქართველ ბავშვებს. მდიდართა შვილები გამოსახული არიან ძვირფას სამოსელში, მათ ხელში ფერადი ბუშტები უჭირავთ, ფეხთ წითელი ფეხსაცმელები აცვიათ. მაგრამ აი, ღლეხი ქალი და მისი გოგონა

(დასასრული გარეკანის მე-3 გვერდზე)

ჩვენი სალონი




გთავაზობთ საცნობარო ხასიათის მასალებს სახვითი ხელოვნებიდან. იგი გათვალისწინებულია არა მარტო იმათთვის, ვინც დაინტერესებულია სახვითი ხელოვნების საკითხებითა და პრაქტიკით, არამედ იმათთვისაც, ვისაც უყვარს სახვითი ხელოვნება და ხშირი სტუმარია მუზეუმების, გალერეების, საგამოფენო დარბაზებისა თუ მხატვართა სახელოსნოებისა.

**აბაკი** (ბერძნ.) — ხუროთმოძღვრებაში ეწოდება იმ ქვის ფილას, რომელიც ანტიური ორდერის სვეტს აბოლოვებს. აბაკი, ჩვეულებრივ, კვადრატულია, სწორი მოხაზულობით. გვხვდება შეზნექილ ნაპირებიანიც.



**აბრისი** (გერმ.) — მონახაზი, ნახაზი, საგნის მოხაზულობა. მხატვრობაში — ხაზობრივი ნახატი. იყენებენ ფერად ლითოგრაფიაში ნახატის მოხაზულობის გადასაღებად. ფართო გაგებით, კონტურის მნიშვნელობით იხმარება.

**აბსტრაქტული ხელოვნება** — იგივეა, რაც უსაგნო ხელოვნება. პირველად იხმარეს XX საუკუნეში ამერიკელმა ხელოვნებათმცოდნეებმა იმ უკიდურესად ფორმალისტურ მიმდინარეობათა დასახასიათებლად, რომლებიც სახვით ხელოვნებაში წინააღმდეგნი იყვნენ საგნობრივი, რეალურად არსებული სამყაროს (საგნები, ნივთები, მოვლენები და სხვ.) გამოსახულებისა. ამ მხატვართა აზრით, რეალური სამყაროს გამოსახვა შემოქმედს „ბბოჭავს“ დაართმევს თავისუფლებას.

ეს მიმართულება წარმოიშვა ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი პირდაპირ კავშირში იყო და დარჩა ისეთ ევროპულ სამხატვრო მიმართულებებთან, როგორიცაა: ფუტურიზმი, კუბიზმი, დადაიზმი და სხვ.

აბსტრაქტული ხელოვნების იდეოლოგები არიან: კანდინსკი, ლარიონოვი, მალევიჩი, მონდრიანი, დელონე, პოლაკი, მატიე, ბური და სხვ.

აბსტრაქციონისტ მხატვართა „ნაწარმოებები“ განყენებული, გეომეტრიული ფორმების ალოგიურ, ფერწერული ლაქების, ხაზებისა და მოცულობათა ქაოტიურ ნახატს, შეკოწიწებას, უაზრო კრებადობას წარმოადგენენ. აბსტრაქციონისტი მხატვრები ხელოვნებაში სპობენ და სდევნიან სახვითი ხელოვნების საფუძველს — მხატვრულ სახეს, უარყოფენ მხატვრული სახის წამყვან მნიშვნელობას.

აბსტრაქციონისტები უარყოფენ და იბრძვიან ხელოვნებაში რეალისტურ-დემოკრატიული ტრადიციების და ჰუმანიზმის წინააღმდეგ; წინააღმდეგ იდეურობისა, ეროვნული ფორმისა და ხალხურობისა, ქადაგებენ კოსმოპოლიტიზმს — უსამშობლო ხელოვნებას. ისინი აცლიან ხელოვნებას ეთიკურსა და ესთეტიკურ აზრს, სოციალურ მნიშვნელობას.

**ავტოგრავიურა** — გრავიურის საბეჭდი ფორმა, ამოკვეთილი ხეზე, ლითონზე, ლინოლეუმზე ან სხვა რომელიმე მაგარ მასალაზე თვითონ მხატვრის მიერ. იმის მიხედვით, თუ რაზეა ამოკვეთილი, არჩევენ ავტოგრავიურის სხვადასხვა სახეებს: ავტოქსილოგრაფიას, ავტოლინოგრავიურას, ოფორტსა და სხვ. ამგვარ საბეჭდ ფორმებს იყენებენ ცალკე ფურცლებზე მრავალრიცხოვანი ანაბეჭდის მისაღებად.

**ავტოგრაფია** (ბერძნ.) — მხატვრული ლითოგრაფიის შესრულების ერთ-ერთი წესი. მხატვარი, ამ ტექნიკაში მუშაობისას, ხატავს არა პირდაპირ ლითოგრაფიულ ქვაზე, არამედ სპეციალურ, გადასატან ქაღალდზე, ე. წ. კრონპაპირზე. შემდეგ, ნახატი მექანიკურად გადააქვს ქვაზე. სხვა სახეობებთან შედარებით, ავტოგრაფიას აქვს ორი უპირატესობა: 1. მხატვარი ამ დროს ხატავს ჩვეულებრივად და არა სარკული გამოსახულების შესადარად; 2. აქ მხატვარს შეუძლია ყოველგვარი ჩანახატის შესრულება ნატურიდან.

**ავტოლითოგრაფია** (ბერძნ.) — მხატვრული ნაწარმოები, ლითოგრაფიის ერთ-ერთი სახეობა. ავტოლითოგრაფიას თვითონ მხატვარი აკეთებს ლითოგრაფიულ ქვაზე. ეს სახეობა გამოიყენება წიგნის დასასურათებლად, აგრეთვე ცალკე ფურცლებზე ანაბეჭდების მისაღებადაც.

**ავტოპორტრეტი** (ბერძნ.) — საკუთარი თავის გამოსახულება — თვითონ მხატვრის მიერ გამოკვეთილი ან დახატული. მას ჩვეულებრივ ასრულებენ სარკის გამოყენებით.

**ავტოცინკოგრაფია** (ბერძნ.) — მაღალი გრავიურის იშვიათი ტექნიკური ნაირსახეობა. ავტოცინკოგრაფიაში ხაგრავიურო ნახატი სავსებით ემთხვევა ანაბეჭდს და იგი მხატვრის ხელით კეთდება თუთიაზე.

დახატული დაფის მოწამვლა პოლიგრაფიული შტრიხული ცინკოგრაფიის წესით სწარმოებს.

ჩაჩა ანდღულაძე,
შალვა ქვასხვაძე.






**როდისაა ადამიანი ყველაზე ლაქლაქა?**

შვედმა მეცნიერმა თოგდ ერაზმმა დაადგინა, რომ ადამიანი ყველაზე ლაქლაქაა ოთხი წლის ასაკში. ამ დროს ბავშვი სიტყვებით ისე თამაშობს, როგორც სათამაშოებით, და ერთი დღის განმავლობაში შეუძლია 12 ათასი სიტყვის წარმოთქმა, თუმცა მხოლოდ 920 სიტყვის მნიშვნელობა გაეგება.

რა სისწრაფით სწავლობენ ბავშვები ლაპარაკს? ამ კითხვაზე მეცნიერი ასე პასუხობს: თუ ბავშვმა ერთი წლის ასაკში სამი სიტყვა იცის, ნახევარი წლის შემდეგ მისი სალაპარაკო ლექსიკონი 26 სიტყვამდე გაიზრდება. ოთხნახევარი წლისამ უკვე იცის 920-დან 1240-მდე სიტყვა. ექვსნახევარი წლის ბავშვი ლაპარაკში ხმარობს 2 ათას სიტყვას, თუმცა კიდევ 6 ათასი სიტყვის მნიშვნელობა ესმის.



ბელორუსიის კომიკური
გაზეთიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საათში 100 კილომეტრი

ტოკიოს საქალაქო მონორელსურ გზაზე მატარებელი საათში ას კილომეტრ სიჩქარეს ანვითარებს. მატარებელი 600 კაცს იტევს. მგზავრები ისე გრძნობენ თავს, როგორც თვითმფრინავში. ასეთ ილუზიას ვაგონის შიდამოწყობილობაც უწყობს ხელს.

## მარილის სახლები

საჰარის უდაბნოში არის სოფელი ტეხაზი (მარილის უმდიდრესი საბადოს მახლობლად), სადაც სახლების კედლები და სახურავი მთლიანად მარილისაა. ტეხაზი ერთი-ერთი ყველაზე მშრალი ადგილია დედამიწაზე. აქ ნალექები თითქმის არ მოდის, ამიტომ, მარილის სახლებს დადნობის საშიშროება არ ელის.



## ორეულების კლუბი

ნიუ-იორკში დაარსდა ორეულების კლუბი. მის წევრად მხოლოდ ისეთ კაცს ღებულობენ, რომელიც გარეგნობით ძალიან ჰგავს რომელიმე ცნობილ პიროვნებას. კლუბს უკვე ჰყავს 11 ეიზენჰაუერი და 7 ჩერჩილი.

## უცნაური თევზი

აფრიკის იმ მდინარეებში, რომელთა სიღრმეში მცირე სინათლე აღწევს, წყალი მუქი ფერისაა. ამ მდინარეების ზედაპირზე დაცურავენ პატარა თევზები, რომლებსაც გრძელი და ვიწრო ყბები აქვთ, ისინი ლამში მცხოვრები ჭიებითა და მატლებით იკვებებიან.

ამ თევზს მორმირუსი—„წყლის სპილო“ შეარქვეს,— მას სპილოს ხორთუმის მსგავსი გრძელი დინგი აქვს.

მორმირუსს, სხვა თევზებისაგან განსხვავებით, კუდის მიმართულებითაც შეუძლია იცუროს ისე, რომ არ დაეჯახოს რაიმეს.

იქნებ მორმირუსს კუდზე თვალები აქვს?

არა, მორმირუსს კუდზე თვალები არა აქვს, მაგრამ აქვს პატარა ელექტრონული ორგანო, რომლის ძაბვა ექვს ვოლტს უდრის. იგი ყველა მხარეს გზავნის რადიოტალღებს. ტალღები აირეკლებიან საგნებისაგან და მათ სხვა ორგანო იჭერს. ერთი სიტყვით, საქმე ნამდვილ ლოკატორთან გვაქვს. ლოკატორი ისეთი აპარატია, რომელიც მისგან არეკლილი ბგერითი ტალღების ან რადიოტალღების საშუალებით განსაზღვრავს სხეულის ადგილმდებარეობას.

ამიტომ ეწოდათ ამ თვისების მქონე თევზებს რადიოლოკატორიანი თევზები.

როდესაც მორმირუსს მტაცებელი თევზი დაედევნება, იგი ყოველთვის ასწრებს დამალვას და მტაცებელს ხახამშრალს სტოვებს.

მეცნიერებმა დიდხანს ვერ გაიგეს, როგორ გებულობდა მორმირუსი მტრის მოახლოებას. ბოლოს გამოარკვიეს, რომ კუდში მოთავსებული ნამცეცა ლოკატორით მას საკმაო მანძილზე შეუძლია საგნების „გასინჯვა“, მათი დანახვა გაუმჭვირვალე საგნების იქითაც. ეს აპარატი მორმირუსს ეხმარება თავდაცვასა და კუდის მიმართულებით ცურვაში.

აფრიკაში რადიოლოკატორიანი სხვა თევზიც ცხოვრობს, ეს გახლავთ „გიმნარხუსი“. რადიოლოკატორიანი თევზი ამერიკის მდინარეებშიც არის, მას „გიმნოსტიდს“ ეძახიან.

## ყველაზე დიდი ყვავილი

ინდონეზიაში, სუმატრაზე, იზრდება ერთი ხე, რომელსაც დედამიწაზე ყველაზე დიდი ყვავილი აქვს. ამ ყვავილის დიამეტრი ერთი მეტრია, იწონის ხუთ კილოგრამს. მისი გვირგვინის ფურცელს სამოცი სანტიმეტრი სიგრძე და ორმოცი სანტიმეტრი განი აქვს. ამ ყვავილს მისი მკვლევარის—არნოლდის პატივსაცემად „არნოლდის რაფლეზია“ ეწოდა.





# თავშესაქცევი

## უცნაური ციფრი

გაამრავლე ციფრი 9 რომელიც გნებავს ერთნიშნა რიცხვზე, მიღებული ორნიშნა რიცხვი შეჯამების შემდეგ ყოველთვის 9 იქნება:

| | |
|---|---|
| $2\times9=18$ | $1+8=9$ |
| $3\times9=27$ | $2+7=9$ |
| $4\times9=36$ | $3+6=9$ |
| $5\times9=45$ | $4+5=9$ |
| $9\times9=81$ | $8+1=9$ |

და ა. შ.

ამ საინტერესო ციფრს მეორე უცნაური თვისება აქვს. აიღეთ და რომელიც გნებავთ რთულ რიცხვში ციფრები გადააადგილეთ. აღებულ და მიღებულ რიცხვებს შორის განსხვავება მუდამ 9 ან 9-ზე გამრავლებული 2, 3, 4 და ა. შ. იქნება. ავიღოთ მაგალითისათვის რიცხვი 21, გადავაადგილოთ ციფრები, მივიღებთ 12-ს. მათ შორის სხვაობა ცხრაა. ($21-12=9$). მეორე მაგალითი: გადააადგილეთ ციფრები რიცხვში 52, მიიღებთ 25-ს. გამოაკელით ეს რიცხვი 52-ს, მიიღებთ 27-ს ან 9-ს გამრავლებულს 3-ზე. 2 და 7 რომ შეკრიბოთ, ისევ და ისევ ცხრას მიიღებთ ($52-25=27=9\times3$ და $2+7=9$; კიდევ მაგალითი: $74-47=27=9\times3$ და $2+7=9$).



## ფსიქოლოგიური პრაქტიკუმი

### ვარჯიში დაკვირვებაზე

ეს ნახატი, მართალია, მოცემულია სარკეში მიღებული ანარეკლისებურად, მაგრამ აქ მხატვარმა ექვსი შეცდომა დაუშვა.

აღმოაჩინე ეს შეცდომები.

## სარჩევი


ს. ხარაზიშვილი — სადაც სწავლობდა ლენინი (წერილი) . . . . 2
მ. ლებანიძე — ზამთარი (ლექსი) . . . 5
ვ. ჩეკურიშვილი — სამი უჩინმაჩინი (მოთხრობა) . . . . . . . 6
ს. მარშაკი — სასვენი ნიშნები (ლექსი, თარგმნა ა. ონელმა) . . . . 12
ა. ბარტო — როგორ დაიწყო მეგობრობა (ლექსი, თარგმნა ა. ონელმა) . . . 12
გ. სიხარულიძე — „ვინ მეგობარსა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ (წერილი) 13
ოქროს საწმისი . . . . . . 17
გ. იურმინი — გაუმაძღარი მეფე და თვალთმაქცი ჯადოქარი (ზღაპარი, თარგმნა გ. ვაშაძემ) . . . . . . 18
გ. ბარამიძე — კინემატოგრაფი (წერილი) 20
გამოგადგება . . . . . . 23
ვ. გოლიავკინი — ჩემი კეთილი მამა (მოთხრობა, თარგმნა ზ. ლეშკაშელმა) 24
ნიკო ფიროსმანაშვილი (წერილი) . . . 29
ჩ. ანდღულაძე, შ. კვასხვაძე — სახვითი ხელოვნების მოყვარულთათვის (ცნობარი) . . . . . . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . 30
ბუნების კარი . . . . . . 31
თავშესაქცევი . . . . . . 32


გარეკანის პირველ გვერდზე — „გუნდაობა“, მხატვარი ზურაბ მეძმარიაშვილი.


რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაგელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
საერთო—5-07-43

„ПИОНЕРИ“, На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.

გამომცემლობა «ნაკადული». უე 03512 ტირ. 47.000. ბირ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.

ხელმოწერ. დასაბ. 14/XII-65 წ. სტამბის შეკვ. 4181. გამომც. შეკვ. 2280. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

# ნიკო ფიროსმანი

(დასასრული)

ფეხშიშველნი, მხარზე დოქებით მიდიან წყაროსაკენ; ბატების მწყემს გოგოს ძლივს უფარავს სხეულს კაბა. ორ პატარა სურათზე გამოსახული არიან ბიჭუნები და მათი მშობლები. ბავშვები ხელს იწვდიან ყურძნის მტევნებისკენ. დედ-მამის ალერსიანი სახეები გვანიშნებენ, რომ პატარები მიიღებენ ამ მტევნებს.

ფიროსმანის ბევრ სურათში გვხვდებიან ცხოველები. ზედმიწევნით ესმოდა მხატვარს ცხოველთა თვისებები, ხასიათი, ჩვევები... ყველაზე უფრო უყვარდა ხარ-ლომების და ფურ-ირმების ხატვა. „ირმების ოჯახი" ნიკო ფიროსმანის ერთ-ერთი უშესანიშნავესი ნამუშევარია, სადაც არაჩვეულებრივი ფერებია გამოყენებული. მხატვარმა შექმნა ახალი ფერი — ნაცრისფერ-ყავისფერ-იასამნისფერი. ძალზე კოლორიტულია „დედალორი გოჭებით", „ბატი ჭუკებით", „დათვი მთვარიან ღამეში", „დათვი ხეზე", „ტახი" და სხვ.

ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედება რამდენიმე ელემენტისაგან შესდგება, მათგან ძირითადია: მონუმენტალობა, ტრადიციულობა და საერთო დეკორატიული გადაწყვეტა. ფიროსმანის ნახატები ყველასათვის გასაგებია, ისინი ნათელი და კონკრეტულნი არიან. გენიალური მხატვარი არ იმეორებდა თავის თავს, იგი არასოდეს არ მუშაობდა შაბლონით. მას სძულდა ხელოსნობა მხატვრობაში.

ფიროსმანი თვითნაბადი ტალანტი, თვითნასწავლი მხატვარი იყო, მას არ ჰყავდა მასწავლებლები. ალბათ ამიტომაც შეინარჩუნა ბოლომდე აღქმის უშუალობა და შექმნა სრულიად თავისებური, განუმეორებელი ნაწარმოებები. კომპოზიციის არაჩვეულებრივი ბუნებრივი ნიჭი, ფორმათა მკაფიოობა და გამომსახველობითი ძალა, ფერების განსაკუთრებული, ორიგინალური გამა მუდამ აჯადოებდნენ და აჯადოებენ ფიროსმანის ნამუშევართა მნახველს. უზარმაზარ, ხუთმეტრიან სურათებს ნიკო ერთ კვირაში ამთავრებდა, ერთფიგურიანებს კი — რამდენიმე საათში. ფიროსმანის ხელოვნებაში თავისებურად აირეკლა ქართული ხალხური შემოქმედების ხასიათი. აშკარადაა გამოხატული მხატვრის ჰუმანური დამოკიდებულება ყველასადმი, ვისკენაც კი გული მიუწევდა მას. მხატვარი ადამიანებზე, ბუნებაზე, ცხოველებზე მოგვითხრობს ბავშვისა და ბრძენის წმინდა გულით, მოგვითხრობს სიმართლეს ყველაზე, რომლებსაც იგი იცნობდა. ფიროსმანის ნაწარმოებებში ცოცხლობენ მრავალი ეროვნების წარმომადგენლები: ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, მალაკნები, ქურთები, მთიელები...

ორი ათასი ნამუშევრიდან, რომლებიც ნიკო ფიროსმანაშვილის ფუნჯმა შექმნა, დღეისთვის ათასია შენარჩუნებული, და მათ ქართული ხელოვნების საგანძურში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ.



მეეზოვე



უშვილო მილიონერი და ბავშვებიანი ღარიბი ქალი

ჩვენი სალონი

ეროვნული ბიბლიოთეკა


ИНДЕКС 76157
ახალი
წიგნები